140
1953/3

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პიონერი

2
თებერვალ…
1953

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# პიონერი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

№ 2
თებერვალი, 1953 წ.
წელიწადი XXVII



იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

6604

კოტე მესხი

ნახ. ზ. ლეჟავასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბატალიონი განაგრძობს გზას

ბინდდებოდა. ხშირ ტყეში, დაკლაკნილ გზაზე, ოთხმწკრივად დაწყობილი ბატალიონი მიდიოდა. წინ მიაბიჯებდა მეთაური მაიორი შავიძე.

— რას იტყვი, სოფელი მალე იქნება? — ჰკითხა მაიორმა თანაშემწეს პოლიტნაწილში, რომელიც მხარდამხარ მოჰყვებოდა შავიძეს და გზადაგზა რუკას დასცქეროდა.

— სულ მალე, სამი კილომეტრი თუ დაგვრჩა. მაგრამ მე მგონი წვიმა წამოგვეწევა, ხედავთ, ცა როგორ აირია?!

მართლაც, ტყეში თანდათან ჩამობნელდა. უცებ, ცა კიდითკიდემდე ცეცხლის ზოლებით გადაიხაზა; მრისხანე გრუხუნს კოკისპირული წვიმა მოჰყვა, სულ უფრო დაბლა ეშვებოდა მძიმე, შავი ღრუბელი. სიბნელეში ლანდებივით ჩანდა ხეები.

ბატალიონმა სოფელს მიაღწია. მთლად გაწუწული ჯარისკაცები მაიორმა სახლებში გაანაწილა და შემდეგ თანაშემწესთან ერთად ორსართულიან შენობას მიაშურა.

— მობრძანდით, — მიიპატიჟა ისინი ხანშიშესულმა ქალმა. მეთაური და თანაშემწე ის იყო შევიდნენ ოთახში, რომ მთლად დასველებული თმათეთრი მოხუცი შემოჰყვათ. იგი სტუმრების სამხრეებს მისჩერებოდა. ალბათ იმიტომ, რომ გაეგო, რომელი მათგანი იყო უფროსი.

— ნება მომეცით მოგახსენოთ, ამხანაგო მაიორო, — მოკრძალებით თქვა მოხუცმა და ხელი დასველებულ წვერზე მოისვა.

— გისმენთ, — ღიმილით მიმართა მას შავიძემ და ფეხზე წამოდგა.

— ნათესები დაგვეღუპება თუ საგუბარი არ შევამაგრეთ. თქვენი მოსვლა შევიტყე, მიძნელდებოდა მომართვა, მაგრამ რა ვქნა, უნდა გადაგვარჩინოთ...

— მე არ ვიცი, ვისთან მაქვს საქმე, — იკითხა მაიორმა.

— პროხორ მუშტუკი გახლავართ, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, — თქვა თეთრწვერამ და ჩექმების ქუსლების ერთიმეორეზე მირტყმით სურდა დაემტკიცებინა, რომ თვითონ ყოფილი ჯარისკაცია.

— ყველაფერი გასაგებია.

შავიძემ მეკავშირეები დაგზავნა მეზობელ სახლებში. მალე მოისმა ბუკის ხმა. დაღლილი და დასვენებას მოწყურებული ჯარისკაცები სასწრაფოდ გროვდებოდნენ.

* * *

წვიმა არ ნელდებოდა. მხოლოდ რამდენიმე წუთით თუ უკლებდა და შემდეგ კიდევ უფრო მეტი ძალით ტყლაშუნებდა დამდგარ გუბეებზე და სქელი მუხნარის ფოთლებზე.

საგუბრის ირგვლივ ფიცხელი მუშაობა გაჩაღდა. ტყეში ახმაურდნენ ნაჯახები. ისმოდა წერაქვების, თოხებისა და რკინის კეტების გაუთავებელი ჭახაჭუხი. საგუბრის ნაწილი, სადაც წყალი უნდა გადასულიყო, მაღალი და ორმაგი ღობით ამოაშენეს, ღობეებშუა კი, სიმაგრისათვის, დიდი ქვები და ხრეში ჩაჰყარეს. ჩირაღდნებით განათებულ საგუბართან ბატალიონი იბრძოდა.

— აბა, ჰა! ერთიც დაჰკარით! აბა, ქვები აქეთ! აქ ბოძები დავაწყოთ! — ისმოდა შეძახილები.

— თქვენ ნუ შეწუხდებით, ამხანაგო მაიორო, — ეუბნებოდა პროხორი შავიძეს, რომელსაც ვეებერთელა ბოძი წამოეკიდნა. მოხუცმა გზა გადაუჭრა მას, მორის ჩამორთმევას ცდილობდა, მაგრამ შავიძემ არ დაანება — ძლივს მოიშორა მოხუცი.

— რა გაეწყობა, მაიორი ბრძანდებით, მე კი მხოლოდ ყოფილი ჯარისკაცი, ძალას არ დაგატანთ, — თქვა პროხორმა და მძიმე ქვა ორმაგ ღობეში გადაისროლა.

— აბა, სწრაფად, რაბისაკენ! მომყევით!

მაიორს ოცამდე კაცი გაჰყვა. წყალს ღობე გაერღვია და შხუილით გადადიოდა ყანებისაკენ. სწორედ იქ გადაეშვა მაიორი თავდაუზოგავად. მას მიჰყვა კიდევ რამდენიმე ჯარისკაცი. გარღვეულ ადგილას გრძელი მორები დააწყეს, ხოლო მორებს შორის წნელის კონები დაატანეს.

* * *

ბატალიონი სტიქიაზე იმარჯვებდა. წვიმამ საგრძნობლად იკლო. საგუბარი საიმედოდ შემაგრდა, სიომ დაჰბერა და წვიმის წვეთებით დამძიმებული ფოთლები გაბერტყა. წარბშეკრული, მრისხანე ცა რამდენიმე ადგილას გაიხსნა.

გვიან ღამით დაბრუნდნენ ჯარისკაცები სოფელში...

ჯერ მამლებსაც არ ეყივლათ, როცა ბატალიონი გზის გასაგრძელებლად ეწყობოდა. მთელი სოფელი აქ მოგროვილიყო. მაიორ შავიძეს თვალს არ აშორებდა ერთი მაღალი და სანდომიანი ქალიშვილი. ქართველმა ოფიცერმა შენიშნა იგი, მაგრამ სითამამე არ ეყო ეკითხნა რამე. ბოლოს ისევ ქალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა გაბედა მაიორთან მისვლა და ხმამაღლა უთხრა:

— თქვენ, თუ არ ვცდები, გივი გქვიათ.

— დიახ. საიდან იცით ჩემი სახელი?

— საიდან? აბა მოიგონეთ 1943 წლის ზაფხული.

მაიორი ჩაფიქრდა.

— მოიგონეთ, მოიგონეთ!—გაიღიმა ქალიშვილმა,—განა თქვენ არ გაანთავისუფლეთ ჩვენი სოფელი?

ახალგაზრდა ქალს სიხარულით აენთო სახე. განცვიფრებული შავიძე გარემოს გაჰყურებდა. მას ბუნდოვნად გაახსენდა ფაშისტების მიერ ცეცხლით გადაბუგული სოფელი ბოჩეჩკი, რომელიც მისმა ასეულმა გაათავისუფლა.



— თქვენ კი იმ გოგონას გამსგავსებთ, რომელმაც გადამარჩინა,—აღელვებით მიუგო შავიძემ.
— ვერ გამიგია, ნუთუ ეს ის სოფელია...

— დიახ. ამ სოფელს ბოჩეჩკი ჰქვია,—ალერსიანად უპასუხა ქალიშვილმა,—გახსოვთ ის ორი მაღალი ალვის ხე? აი, იქ იწექით თქვენ დაჭრილი...

— მაშ, თქვენ გლაშა ყოფილხართ!

— დიახ, გლაშა. მაშინ მე ცამეტი წლისა ვიყავი, პიონერის ყელსახვევი მქონდა თუ გახსოვთ, ახლა კი ამ სოფლის მასწავლებელი ვარ.

შავიძეს მოაგონდა თუ როგორ იწვა იგი დაჭრილი დაცარიელებულ, ცეცხლმოდებულ სოფელში და როგორ დასტრიალებდა ქერა ნაწნავებიანი გოგონა.

გლაშასა და გივის გარს შემოეხვივნენ კოლმეურნეები და ჯარისკაცები. მათი ამბავი სწრაფად მოედო სოფელს და ბატალიონსაც.

— ორჯერ გვიხსნა მაიორმა,—ამბობდნენ კოლმეურნეები.

მაიორი შავიძე მის წინ გადაშლილ სოფელს გასცქეროდა. ვერ წარმოედგინა თუ ომის ცეცხლით გადამწვარი, ფერფლად ქცეული ბოჩეჩკი ასე სწრაფად გამშვენიერდებოდა.

ბატალიონმა გზა განაგრძო. უკან დარჩა ხეხილის ბაღებში ჩაფლული პატარა სოფელი. მაიორი შავიძე თვალს არ აშორებდა მას, ხანდახან რუკას ჩახედავდა და შავგვრემან სახეზე კმაყოფილების ღიმილი დასთამაშებდა.

დავით ბაქრაძე
საბჭოთა კავშირის გმირი

ნახ. გ. გულისაშვილისა

# პარტიზანის ჩანაწერები

## არტუშენკოს გმირობა

ეს მესამე შემთხვევა იყო, რომ ახლადგამზადებული აეროდრომი ვერ გამოვიყენეთ.

ბუზებივით შემოსეულ მტერს მეექვსე ბატალიონმა დიდი წარმატებით შეუტია. ამ ბატალიონში სერგო არუთინოვის ასეულიც იღებდა მონაწილეობას. უსწორო ბრძოლაში ჩაება სერგო არუთინოვის ასეული. მოწინააღმდეგემ სერგოს ალყაში მოქცევა და მისი საბოლოოდ განადგურება განიზრახა. ასეულის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მტრის ალყა ზედიზედ რამდენჯერმე გაარღვია და მტერი გაფანტა. მოწინააღმდეგე არ ცხრებოდა, იერიში იერიშზე მოჰქონდა. მტერმა შეძლო ასეულის დაზგის ტყვიამფრქვევის განადგურება. იმ ტერიტორიაზე, სადაც ასეული იდგა, ყოველ ათ-თხუთმეტ მეტრზე ყუმბარები სკდებოდა. სერგომ პოლკის შტაბში მეკავშირე აფრინა, დამხმარე ძალა სასწრაფოდ გამოითხოვა. თოთხმეტი წლის მეკავშირე არტუშენკომ შეძლო ცეცხლის რკალში გახტომა და შტაბამდე მიღწევა. ბავშვმა ცხენი შტაბთან მიაგდო და გაფითრებული შევარდა შტაბის უფროსის ოთახში.

— რა მოხდა, რა ამბავია?—შეეკითხნენ შტაბში ბავშვს.

— მძიმე მდგომარეობაა. მტერი ლამობს ჩვენების დამორჩილებას, ყოველმხრიდან გვიტევს. ამხანაგი არუთინოვი სასწრაფოდ თხოულობს დამხმარე ძალას.

— დამხმარეებს მალე გამოვგზავნით. აი, ეს წერილიც. შესძლებ კი, პატარავ, პასუხის მიტანას?

— შევძლებ! მაშ, აბა სხვამ ვინ უნდა წაიღოს პასუხი?

არტუშენკო თვალის დახამხამებაში მოახტა ცხენს და იმ არემარედან გაჰქრა. ბნელოდა. თვალთან თითს ვერ მიიტანდი. როდესაც ბრძოლის ადგილს მიაღწია, ჰიტლერელებმა ბავშვი სწორედ მაშინ შეამჩნიეს.

— შესდექ! -ყოველი მხრიდან მიაძახეს ბავშვს.

ბავშვმა ცხენს მათრახი გადაჰკრა და დიდი სისწრაფით გააქანა.

— შესდექ!—კიდევ შესძახეს ჰიტლერელებმა.

ბავშვმა არც ამ შეძახილს ათხოვა ყური და გზა განაგრძო. ფაშისტებმა ტყვიამფრქვევების ცეცხლი დაუშინეს ბავშვს, მძიმედ დაჭრილმა არტუშენკომ, როგორც იყო, მაინც მიაღწია ასეულამდე. მას გამოეგებნენ. ბავშვმა, თვალი მოჰკრა თუ არა სერგოს, ხელი ჯიბეში ნელა ჩაიყო, წერილი ამოიღო და წაილუღლუღა:



ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამხანაგო უფროსო, პასუხი...—და, ცხენის კისერზე გადაწოლილმა, სული განუტევა.

შეუნელებელი იერიშები ძვირად დაუჯდა მტერს, პარტიზანების დამორჩილება ვერ შეძლო და ცოცხალი ძალა უშედეგოდ დაჰკარგა.

## პოლონელი გმირი გოგონა

კოვპაკის დივიზიას პოლონეთში ერთი პარტიზანული რაზმი შემოუერთდა. საბჭოთა არმიის ოფიცერმა კატიკმა, რომელიც ამ რაზმს მეთაურობდა, გვიამბო ერთი პოლონელი გოგონას გმირობის შესახებ.

რაზმში ირიცხებოდა პოლონელი მეკავშირე— თოთხმეტი წლის გოგონა. რაგინდ რთული დავალება არ უნდა მიეცათ მისთვის, ყოველთვის დროულად და ზუსტად ასრულებდა. ამ გოგონას წყალობით პარტიზანებმა ძუდაძ იცოდნენ, რას აკეთებდა მტერი, როგორი იყო მისი განზრახვა. გოგონა უტყუარად აცნობებდათ ხოლმე, თუ სად რა რაოდენობით იდგა ჰიტლერელების ცოცხალი ძალა, რა იარაღი გააჩნდათ მათ, სად გადაინაცვლეს წინა დღით და ა. შ. რაზმი სარგებლობდა ამ ცნობებით, საჭირო ზომებს დროზე იღებდა, სახიფათო არემარეს დროულად გაეცლებოდა ხოლმე. მეკავშირეს სიტყვა გამართლდებოდა და მტერი პარტიზანების მიერ დატოვებულ ადგილს გარს შემოერტყმოდა ხოლმე. დიდი მითქმა-მოთქმა იყო ამ მეკავშირე გოგონაზე. ამ ახალგაზრდას ამბავმა მტრის ყურამდე მიაღწია. დიდი სასყიდლის გაღების შემდეგ იგი ცოცხლად იგდეს ხელთ ფაშისტებმა და ასეთი კითხვა მისცეს:

— თქვენ იკისრეთ, „ქალბატონო“, საბჭოთა ქვეყნის პარტიზანების მეკავშირეობა?

ახალგაზრდა პირველად გაჩუმდა, შემდეგ უპასუხა:—„დიახ, ასეა!“

— მერე და, რატომ გახდით მტრის მეკავშირედ?

— მე ისინი მტრებად არ მიმაჩნია!

— აბა, მოყვრები არიან?

— დიახ, ისინი ჩემი სამშობლოს დამხსნელები არიან!

— ახლავე გაათრიეთ ეს არამზადა და ლუკმა-ლუკმა აჰკუწეთ!—გასცა კომენდანტმა განკარგულება.

ფაშისტებმა პატრიოტი გოგონა საშინელი წამებით მოჰკლეს.

---

**მუხრან მაჭავარიანი**

## ვისაც უყვარს

ვისაც უყვარს საკუთარი სამშობლო და მინდორ-ველი;
ვინც არ უნდა იყოს იგი—ჩინელი თუ ინდოელი...
ვინც გლეხია,
ვინც მუშაა,
ვინც სიმართლის მძებნელია,
საბჭოეთი არ უყვარდეს,—ყოვლად შეუძლებელია!

ვისაც უყვარს მშობლიური მისისიპი, განგი, კონგო...
ვისაც უყვარს მშვიდობა და...
ვინც ამჟამად მზებნელია,—
ჩვენი მხარე არ უყვარდეს?!
რანაირად,
რამხრივ,
როგორ?!
მოსკოვი რომ არ უყვარდეს, —ყოვლად შეუძლებელია!

ვისაც უყვარს მშობლიური ფხენიანი, ვიეტნამი...
ვისაც უნდა სიცილი და...
ვისი ხვედრიც ცრემლებია...
ვინც სამშობლოს დასაცავად
იბრძვის... იბრძვის დღისით, ღამით,—
გორი...
გორი არ უყვარდეს,—ყოვლად შეუძლებელია!

* * *

ვისაც უყვარს ჩვენი მხარე,—
ჩეხია თუ ქართველია...
ჩვენი მძლავრი აღმავლობის ვინც პატივისმცემელია,—
უსიტყვოდაც აშკარაა,
უსიტყვოდაც ნათელია,—
რუსეთი რომ არ უყვარდეს,—ყოვლად შეუძლებელია!

საქართველო—საბჭოეთის მოკავშირე რესპუბლიკა,
საქართველო...
საქართველო—ჩვენი ტკბილი, კარგი დედა,—
მიყვარს, მიყვარს,
მიყვარს, მაგრამ...
განა მარტო ქართველს მიყვარს?!
ძმებო, მიყვარს თქვენთან ერთად!

* * *

კიდევ უფრო...
კიდევ უფრო გაიფურჩქნე საქართველოვ!
კიდევ უფრო ბევრი შვილი გამოზარდე სასახელო!
კიდევ ერთი რუსთაველი,
კიდევ ერთხელ აამღერო,
შენი წინსვლით
შენი მამა
კიდევ ბევრჯერ გაახარო,
გევალება საქართველოვ!
ჩვეული ხარ საქართველოვ!
დღეს ყველასთვის საყვარელო,—
შენ—საბჭოთა საქართველოვ!

# საბჭოთა საქართველო

## ჩვენი მთავრობის სასახლე

დღეს რუსთაველის პროსპექტზე
შენობა ვნახე ახალი —
ჩვენი მთავრობის სასახლე,
მზისფერი, სვეტებმაღალი.

მართლაც, რა დიდებულია
ეს საარაკო ქმნილება;
ჩუქურთმას უმღერს ჩუქურთმა,
თაღი თაღს ეხმატკბილება.

ხედავ და თვალს ვერ აშორებ,
სულ გინდა მისი ყურება,
დიდი ოსტატის ღვაწლია,
მამულს რომ ემსახურება.

იქ ბჭობენ ხალხის რჩეულნი,
ჩვენთვის ზრუნავენ, იღვწიან;
ყველამ „ხუთებზე“ ვისწავლოთ,
ჩვენ მათთვის შეგვიფიცნია.

ა. ონელი

*

## 25 თებერვალი

მიყვარს, მიყვარს ანთებული
ალისფერი დროშის ჯარით,
ზამთრის სუსხის შემმუსვრელი
ოცდახუთი თებერვალი.

ვხედავ ქარხნებს, ვხედავ ბაღებს
და უსაზღვროდ გაშლილ ყანებს...
დღეს საბჭოთა საქართველო
თვალს ატკბობს და გულს ახარებს.

ვესტუმრები ფიქრით რუსთავს,
თავს ვევლები ფიქრით სამგორს...
ჩვენი მარჯვე, მტკიცე ხელი
დიდ ცხოვრებას ჰქმნის და ამკობს.

მიყვარს, მიყვარს ანთებული
ალისფერი დროშის ჯარით,
საქართველოს გაზაფხული —
ოცდახუთი თებერვალი.

ქ. გოგიაშვილი

*

## დღეს ხმა მისცეს

სკოლის თვალი — თამარ ქალი
ჩემი კარგი დობილია,
დაიკო ჰყავს ინჟინერი,
ძმა ფოლადის მდნობელია.

მათ რუსთავში ყველა იცნობს —
ორივ კარგი მშრომელია,
და-ძმას თამროც რომ აქებდა,
პირზე ღიმი მომერია.

დიდ კრებაზე დაადგინეს,
ირგვლივ ტაში ჰქუხდა მძლავრად:
— ორივ და-ძმას ვასახელებთ
ჩვენს საბჭოში წარსაგზავნად.

და დღეს, როცა მთელი ხალხი
გაახარა არჩევნებმა,
თამროს გულიც საგულეში
სიხარულით არ ჩერდება.

ხალხის რჩეულ, ერთგულ შვილებს
დღეს ხმა მისცეს ათასებმა, —
დიდმა ხალხმა ასე იცის
ჩვენში შრომის დაფასება.

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გიორგი შატბერაშვილი

ნახ. დ. ხახუტაშვილისა

# თადარიგო

თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ჭაბუკმა ჭიშკარი გამოაღო და ჩქარი ნაბიჯით ქუჩაში გამოვიდა. გამხდარი, მოგრძო სახე ჰქონდა, დაფიქრებული დიდრონი თვალები, უკან გადაყრილი ხშირი წაბლისფერი თმა. საულვაშეზე ახლად აშლოდა პირველი, უმწიფარი ატმის ბუსუსივით ოდნავ შესამჩნევი ქერა ღინღლი, რომელსაც ჯერ სამართებელი არ მიჰკარებოდა. ცალ ხელში ქუდი ეჭირა, მეორე ხელის ოთხი თითი პატარა მსუბუქი ჩემოდნის სახელურში გაეყარა და თითის წვერებით, თავისდაუნებურად, რაღაც ფეხბურთელთა მარშის მინაგვარს აკაკუნებდა ჩემოდნის თხელ ზედაპირზე.

ამ მარშის ტაქტს აყოლებული, მხრების ქანაობით მიდიოდა და ფიქრში გართული ქუჩაში ვერავის ამჩნევდა, ვერაფერს ხედავდა.

ან კი ვინ უნდა შეემჩნია! ქუჩაში ამ დილით, გარდა პატარა ბავშვებისა და მოხუცებისა, ვერავის დაინახავდა კაცი. ამ პატარა ქალაქის მთელი მოსახლეობა თითქოს დედაბუდიანად აყრილიყო და ფეხბურთის სტადიონზე წასულიყო. სტადიონი ქალაქს კარგა მანძილით იყო დაშორებული.

ჭაბუკი ჩქარობდა, საუბრით, სიმღერითა და ცეკვა-თამაშით მიმავალ ქალაქელთა ხან ერთ ჯგუფს გაუსწრებდა, ხან მეორეს. მოუსვენარი ბიჭუნები ქაქანით მიისწრაფოდნენ ამტვერებულ შარაზე, გზას უთმობდნენ შორეული სოფლებიდან სტადიონისაკენ მიმავალ ხალხით სავსე საბარგო მანქანებს და დღევანდელ თამაშზე კამათობდნენ.

ჭაბუკი ქალაქის გარეუბანს რომ გასცდა, უცებ მის გვერდით საბარგო მანქანა შეჩერდა. კაბინიდან თავი გადმოყო ნაცნობმა ახალგაზრდა შოფერმა და მგზავრს მეგობრულად გაუცინა.

— დათა, მანქანაზე დაჯექი... აბა, ნუ დაგვაგვიანებ!

ჭაბუკმა მანქანისკენ მიბრუნება დააპირა.

ამ დროს ქალიშვილის წკრიალა, დამცინავი ხმა ჩამოესმა:

— ფეხებს გაუფრთხილდი, თადარიგო, იქნებ დღესაც მოგიხდეს თამაში!

მანქანიდან გოგონების მხიარული სიცილ-კისკისი გადმოიფრქვა. დათამ მარინესი და მეთერთმეტეკლასელი სხვა გოგონების ხმა იცნო.

„აქ სად გადავეყარე ამ ალქაჯებს"—გაიფიქრა დათამ, თავს ჩაღუნა და გზა განაგრძო.

მანქანა ისევ წამოეწია, ისევ გაჩერდა. შოფერი კაბინიდან გადმოხტა და დათას ხელი ჩაჰკიდა.

— არა, დღეს მაინც არ ვთამაშობ, ფეხით მირჩევნია...

— ჩემმა მზემ, გაგეხუმრა... არა და, ახლავე ჩამოვსვამ მანქანიდან იმ ენაჭარტალას!..

დათამ არაფერი უპასუხა, ხელი ჩაიქნია და ფეხს აუჩქარა. მანქანამ რომ ჩაუქროლა, კვლავ შემოესმა მარინეს ძახილი:

— თადარიგო, ეს მაისის ვარდები შენთვის მოგვქონდა... რად გაგვებუტე, თადარიგო?!

საბარგო მანქანის ძარაში ფეხზე მდგარ გოგონებს მაღლა აეშვირათ წითელი ვარდის თაიგულები და ჩამორჩენილ ყმაწვილს ნიშნის მოგებითა და სიცილ-ხარხარით უქნევდნენ.

— იმას მიართვით, ვისთვისაც დაგიკრეფიათ! — კბილების კრაჭუნით წამოიძახა დათამ და თვალი მოარიდა მტვრიან შარაზე გაქროლებულ მანქანას.

„ეჰ, თადარიგო, თადარიგო"... ამოიოხრა ჭაბუკმა, როცა მანქანა თვალს მოეფარა. იგი ფიქრში წავიდა.



* * *

რაიონის საშუალო სკოლის ფეხბურთელთა გუნდი „სხივი“ დათამ დააარსა. მუდამ დაფიქრებული, ჭკვიანი დათა, მიუხედავად თავისი ფიზიკური სისუსტისა, გუნდის სული და გული იყო. ყოველდღიური, ხანგრძლივი წვრთნისა და ვარჯიშობის შემდეგ, გუნდმა ჯერ სკოლის პირველობა აიღო, შემდეგ ქალაქის სკოლების ყველა გუნდი დაამარცხა და რაიონში უძლეველი გუნდის სახელი დაიმსახურა.

„სხივი“ ხშირი სტუმარი იყო მახლობლად მდებარე სოფლებისა. ეს დაუზარელი, მზეზე გარუჯული, ამტანი ბიჭები, ცვირაობით, ხშირად რვა-ცხრა კილომეტრი მანძილის ფეხით გავლის შემდეგ, თითქმის დაუსვენებლად ჩაატარებდნენ შეჯიბრებას და თამაშის დამთავრების შემდეგ ისევ სიმღერით და ჟივილ-ხივილით ბრუნდებოდნენ პატარა, მშობლიურ ქალაქში.

მეტად თავისებურად თამაშობდნენ „სხიველები“. შეჯიბრებას ყოველთვის ნელი ტემპით იწყებდნენ... დინჯად, მოფიქრებულად ზვერავდნენ მტრის თავდაცვას, სუსტ ადგილს ეძებდნენ, რომ შემდეგ იერიში იქ მიეტანათ. რამდენიმე წუთს ასე თამაშობდნენ, ერთის შეხედვით — უნდილად, დუნედ.

როცა ბიჭები ახლად გახედნილ კვიცებივით გახურდებოდნენ, როცა მათ თავშეკავების ძალა აღარ შესწევდათ, უცებ დათა ხელს მაღლა შეუმჩნევლად ასწევდა, თავს ღიმილით დაიქნევდა...

— შევესიოთ, ბიჭებო, შევესიოთ!—გასძახებდა იგი ამხანაგებს და ბურთს წინ გაიგდებდა.

ამ წუთიდან სტადიონზე მდგომარეობა სრულიად იცვლებოდა. თამაშის ნელ ტემპზე გადასული მოწინააღმდეგის თვალწინ, დინჯად მოთამაშე ფეხბურთელების ნაცვლად, თერთმეტი ჭინკა-ბიჭი ელვის სისწრაფით დაჰქროდა, აბორგებული ზღვის ტალღებივით აწყდებოდა საჯარიმო მოედანს.

გამხდარი, მაგრამ რკინასავით მაგარი დათა თითქოს ამ ტალღების ქოჩორზე მიცურავდა, თავი აღელვებულ ზღვაში მოხვედრილი ხომალდის კაპიტნად წარმოედგინა, თავგანწირვით ხან წინ გაიჭრებოდა, ხან უკან იხევდა, რომ ახალი ძალით ებრძოლა ბურთის გატანისათვის. არასოდეს ფიქრობდა იმაზე, რომ ბურთი მხოლოდ თვითონ გაეტანა, სამუშაოსაც და ბრძოლის ნაყოფსაც მეგობრულად და თანაბრად ანაწილებდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს შენ, სანდრო!.. ეს შენ, ნიკო!..—თავისთვის ბუტბუტებდა იგი და გუნდის საერთო ძალღონით მიტანილ ბურთს იმას აწვდიდა, ვინც კარში დარტყმისათვის უფრო მოხერხებულ ადგილას იდგა. ამიტომ უმეტესად ბურთი სხვა მოთამაშეებს გაჰქონდათ, მაგრამ ამით ისინი არ ამაყობდნენ; პირიქით, იმ გამოუცდელ მაყურებლებს, რომლებიც მოთამაშის ღირსებას მხოლოდ გატანილი ბურთების რაოდენობით აფასებდნენ და ზოგჯერ დათას დამცირებას ცდილობდნენ, ასეთ პასუხს აძლევდნენ:

— არა... დათა ჩვენი თავდასხმის სული და გულია. ის რომ არ გვყავდეს, ჩვენი საქმე ცუდად იქნება!

კლასშიც ასეთი წყნარი, დაფიქრებული და ყველასათვის საყვარელი იყო დათა. არავის ახსოვს, რომ მას შემდეგ, რაც მან მთის პატარა სოფლის რვაწლიანი სკოლა წარმატებით დაამთავრა და რაიონის საშუალო სკოლაში შევიდა, ან გაკვეთილი არ სცოდნოდა, ან უწესრიგობით თავი შეერცხვინა. დრო ისე ჰქონდა განაწილებული, რომ სწავლასაც ასწრებდა, ბურთის თამაშსაც და კოლმეურნეობაშიც მუშაობდა საზაფხულო არდადეგების დროს.

ყველას ახსოვს, როგორ მოათვინიერა დათამ ფეხბურთის თამაშს გადაყოლილი სანდრო, რომელიც სწავლაზე გულაცრუებული იყო, მთელ დღეს სტადიონზე ატარებდა და მხოლოდ იმაზე ოცნებობდა, რომ სახელგანთქმული ფეხბურთელი გამოსულიყო.

ეს ბუთხუზა, მკვრივად ჩასხმული ცოცხალი ბიჭი, სანამ ბურთის თამაში გაიტაცებდა, ფრიადოსანი მოსწავლე იყო. ბოლო ხანებში მისი საგამოცდო ფურცლები სამიანებით აივსო, ხასიათი გაუფუჭდა, უხეშად იქცეოდა და რჩევა-დარიგებას აინუნშიაც არ აგდებდა.

— ჯანმრთელობა და სამიანი! — ცალი წარბის მაღლა აწევით წამოიძახებდა და ამაყად დაიხედავდა მზით გარუჯულ გულმკერდზე, დაკუნთულ მკლავებზე და მორგვებივით მსხვილ მუხლისთავებზე. მალე სანდროს მიმბაძველები გამოუჩნდნენ, მისი დევიზი უყოყმანოდ მიიღეს და ყოველ ნაბიჯზე თუთიყუშივით იმეორებდნენ:

— ჯანმრთელობა და სამიანი, ჯანმრთელობა და სამიანი!..

ამ ამბავმა დათა ძალზე შეაშფოთა, სკოლის დირექტორს და კომკავშირის კომიტეტის მდივანს ეთათბირა და ერთ დღეს ფეხბურთელთა გუნდის კრებაზე სანდროს გამოუცხადა:

— ჩვენი დევიზი ჯანმრთელობა და ხუთიანია.. თუ გინდა, დაგვემორჩილე, არა და გუნდიდან გაგრიცხავთ!

სანდრო ამას არ მოელოდა, უცებ შეკრთა, დაიბნა, მაგრამ ინტიბარი მაინც არ გაიტეხა.

— სხვა სკოლაში გადავალ, მუქარით ვერ შემაშინებთ! — წამოიძახა მან, ქუდი დაიხურა და კარი გაიჯახუნა.

დათამ სიტყვა შეასრულა. სანდრო იმავე კრებაზე ერთხმად გარიცხეს გუნდიდან.

„მოვა და ბოდიშს მოიხდის“—ფიქრობდა დათა.

მართლაც, მესამე საღამოსვე, სანდრომ კომკავშირის კომიტეტის კარზე მორიდებით დააკაკუნა.

— ცოტას თამაშს მოვუკლებ, ცოტას სწავლას მოვუმატებ... ჯერჯერობით, ამ მეოთხედში, მეტი არ შემიძლია... გაზაფხულამდე ისევ ხუთოსანი გავხდები... ეუბნებოდა თავდახრილი სანდრო მეგობრებს.

თქვა და შეასრულა კიდეც.

ამის შემდეგ „ჯანმრთელობა და სამიანი“ ყველას დაავიწყდა.

მაგრამ მოულოდნელად გუნდის ცხოვრებაში მოხდა ერთი ამბავი, რომელმაც როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარეთ, ყველა დააფიქრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონში ჩამოყალიბდა ნაკრები გუნდი, რომლის ძირითად შემადგენლობაში თითქმის ყველა „სხიველი“ მოხვდა, ამიტომ გუნდს ისევ ძველი სახელწოდება შერჩა. გუნდი ახალ მწვრთნელს ჩააბარეს.

გუნდის ახალმა მწვრთნელმა როგორღაც აითვალწუნა დათა, ხშირად აძლევდა შენიშვნებს, სხვების გასაგონად უწუნებდა თამაშს... არც ერთი საწვრთნელი თამაში ან შეჯიბრება ისე არ დამთავრდებოდა, რომ გუნდის კრებაზე არ განეცხადებინა:

— ყმაწვილებო, თქვენი თამაშის სტილი არ მომწონს, ყველაფერი ეს კი გუნდის კაპიტანის ბრალია; დათა, პირდაპირ უნდა გითხრა, რომ მცდარ გზაზე აყენებ გუნდს!

—რატომ? დღეს ხომ მოვიგეთ?!—გაიოცებდა დათა.

— მე თამაშის სტილზე გელაპარაკებით... აბა, რა სტილია ეს?...

— მოგების სტილი!—არ უთმობდა თავის სიმართლეში დარწმუნებული დათა. მწვრთნელი აათვალიერებდა დათას და დაასკვნიდა:

— გასწავლით, გაჩვენებთ, როგორი უნდა იყოს გუნდის თამაშის სტილი და ნამდვილი მოგება!

ეს დაპირება მწვრთნელმა მალე შეასრულა.

ერთხელ, როდესაც გუნდი სტადიონზე სავარჯიშო თამაშისათვის ემზადებოდა, მან ერთი კოხტად ჩაცმული, ტანსრული ახალგაზრდა წარუდგინა „სხიველებს“.

— აი, ეს იქნება დღეიდან თქვენი ცენტრალური თავდამსხმელი და გუნდის კაპიტანიც... იმედია, შეიყვარებთ და შეეწყობით ერთმანეთს. ჭიჭიკო, გაიცანი ბიჭები!

ჭიჭიკომ, საკუთარი ღირსების შეგნებით, ამაყად ჩამორათვა ხელი მის წინ გამწკრივებულ ათ ფეხბურთელს... მეთერთმეტე განზე გადგა, გაოცებული და დაბნეული.

— მ... მერე, და... დათა? — გულდაწყვეტით წამოიძახა სანდრომ და თავჩაღუნულ დათას თანაგრძნობით გადახედა.

— დათას ჯერჯერობით სათადარიგო მოთამაშედ გადავიყვანთ. შემდეგ კი ვნახოთ!—ხმადაბლა, უკმაყოფილოდ თქვა მწვრთნელმა და ბიჭებს მოედანზე გასვლა უბრძანა.

— ასე მოულოდნელად... შეუთანხმებლად, უცებ...—გაბედა ვოლოცამ.

— გუნდის გაძლიერება და მომავალი შეჯიბრებისათვის სათანადო მომზადება მე მაქვს მონდობილი და არა თქვენ...—თქვა მწვრთნელმა. — საკითხი შეთანხმებულია; ჭიჭიკო სწავლითაც თქვენთან ისწავლის, ხვალიდან მეთერთმეტე კლასში დაჯდება!

ყველა დამცირებულად გრძნობდა თავს. უხმოდ იხდიდნენ ტანსაცმელს, უხალისოდ ემზადებოდნენ თამაშისათვის, მხოლოდ სანდრო არა ცხრებოდა, ხან ერთ ამხანაგთან მიირბენდა, ხან მეორესთან და აღელვებისაგან ენადაბმული ბურტყუნებდა:

— ბიჭო, ეს რა ამბავია?.. დ... დათა... სა... სა... თადარიგო მოთამაშედ გადაიყვანეს, სა... თადარიგოდ!

ბიჭები ძლიერ ნაწყენი, საოცრად აფორიაქებულნი, შეურაცხყოფისაგან გაფითრებულნი იყვნენ. სკოლის გუნდში ვინ გაუბედავდა მათ ასეთ რამეს, ვინ დაამცირებდა მათს საყვარელ დათას ასე... მაგრამ ეს ხომ სკოლის გუნდი აღარ იყო... ხმას ვერ იღებდნენ, ღროს უცდიდნენ.

ბოლოს სანდრომ დათასთან მიირბინა, მხარზე თანაგრძნობით გადახვია ხელი.

— ნუ... ნუ გეშინია დათა... ეგ... ეგ მამლაყინწა დიდხანს ვერ გაძლებს ჩვენთან... შეხედე, როგორ იპრანჭება, ეტყობა დიდი ჯა... ჯამბაზია!

ამ შემთხვევის შემდეგ ამხანაგის დამცირებით გაჯავრებულმა სანდრომ მთელი ქალაქი შემოირბინა, ფეხბურთის ყველა მოყვარული ინახულა და სათითაოდ მიუსამძიმრა:

— გაიგეთ?... დღეიდან დათა, სა... სა.. თადარიგო მოთამაშეა!

მღელვარებით და სირბილით მოქანცულ ბიჭს ენა უარესად ებმოდა, „სათადარიგოს“ მაგივრად ხან „თადარიგოს“ ამბობდა, ხან „დათარიგოს“, რაც ენაკვიმატ ბიჭებს ძალზე მოსწონდათ, ერთსა და იმავეს რამდენჯერმე ამეორებინებდნენ და სიცილით იჭაჭებოდნენ.

ამის შემდეგ დათას ალერსით თადარიგოს ეძახდნენ... მაგრამ ყველა ალერსით კი არა...

აი, წელან...

დათას მოყვარული ბიჭები მტრულად შეხვდნენ ახალ მოთამაშეს. მაგრამ ჭიჭიკომ პირველ ვარჯიშზევე თავბრუ დაახვია მათ თავისი მოხდენილი თამაშით, გასაოცარი ტექნიკით, ბურთის გადაცემის ათასგვარი ხერხების გამოყენებით და ელვისებური ფინტებით.

მარტო მისი თავით თამაში ღირდა ერთ რამედ!.. თავს ისე მოხერხებულად ხმარობდა, როგორც საკუთარ მუშტს.

ბიჭები მოხიბლული დარჩნენ, რამაც მწვრთნელის კმაყოფილება გამოიწვია. ამის შემდეგ ჭიჭიკოც უფრო გაბღენძილი მოდიოდა სტადიონზე, ხმას თითქმის არავის სცემდა. მხოლოდ თამაშის დროს თუ წამოიძახებდა რამეს, ისიც ბრძანებით.

— აქეთ! ჩემკენ! ნუ დამაყოვნებთ, მომაწოდეთ-მეთქი! ჩქარა! წინ გამიგორეთ!

ბიჭებიც უჯერებდნენ, აწვდიდნენ, ეფერებოდნენ, მის ძალას და უპირატესობას გრძნობდნენ და ყოველი საწვრთნელი თამაშის შემდეგ ასკვნიდნენ:

— თამაში იცის, გვასახელებს!

სანდრო თავს იკავებდა ახალი მოთამაშის შეფასებისაგან, ჯიუტად დუმდა, მხოლოდ ხანდახან წამოიძახებდა ხოლმე:

— თამაშის ცოდნა შეჯიბრების დროს უნდა შემოწმდეს, სტადიონზე... ძალიან იპრანჭება... ფო... ფორმალისტია... ცოტაც მოიცადეთ და გამოჩნდება რა ბიჭიცაა! სწავლაში ხომ ნახეთ რაც არის!

ჭიჭიკო კლასშიც ისეთივე გაბღენძილი და ამაყი იყო, როგორც სტადიონზე. თავს არავის უყადრებდა, მუდამ ცალკე იდგა ცხვირაწეული, პირველ ხანებში გაკვეთილებს კარგად სწავლობდა, ზრდილობიანი ქცევით ცდილობდა მასწავლებლების გულის მონადირებას. მერე კი, კლასსა და მასწავლებლებს თვალი და ენა რომ შეაჩვია, სწავლასაც უკლო და გათამამდა კიდეც.

— მასწავლებელო, დღის გაკვეთილი იმიტომ არ ვიცი, რომ გუშინ საწვრთნელი თამაში გვქონდა, ხვალაც შეჯიბრება გვაქვს, აბა რა ექნა?!

ჭიჭიკოს ამ უცნაურმა განცხადებამ მოსწავლეთა სიცილი და მასწავლებლის სამართლიანი რისხვა გამოიწვია. ჭიჭიკო დატუქსეს და იგი ისევ თავის მოჩვენებითი ზრდილობის ქერქში ჩაჯდა.

პირველ ორ შეჯიბრებაზევე ფეხბურთის მცოდნეთათვის აშკარა გახდა, რომ ჭიჭიკო გუნდს არ გამოადგებოდა. გადამწყვეტ წუთებში იბნეოდა, ძლიერ მოწინააღმდეგესთან ბრძოლას ერიდებოდა, ეშინოდა... მაყურებლის თანაგრძნობის მოპოვებას ბურთის დამოუკიდებელი ტარებით ცდილობდა.

გულუბრყვილონი გაოცებით უკრავდნენ ტაშს და გაჰკიოდნენ:

— წავაგეთ, მაგრამ თამაში ჩვენია; ხედავთ, ჭიჭიკომ ხუთი მოთამაშე მოატყუა, ხუთი... მეექვსეს რომ არ წაერთმია, ბურთს გაიტანდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს ცირკი კი არ არის, სტადიონია! ჯამბაზობა კი არა, ბურთის გატანა და გამარჯვება გვინდა!.. ახ, სად არის ჩვენი დათა!—ხელის ჩაქნევით, უკმაყოფილოდ ამბობდნენ გამოცდილნი...

მართლაც, ნეტავ სად იყო ამ დროს ჩვენი თადარიგო? სად და...



ხან იქვე მახლობლად (მაგრამ შეუმჩნევლად!), სადაც ეს წამოძახილი გაისმოდა, ხან კი სხვებისაგან მოშორებით, განმარტოებით იჯდა და დაკვირვებით გასცქეროდა ბრძოლის ველს, სადაც მისი საყვარელი ამხანაგები მოწინააღმდეგეს თავგამეტებით ებრძოდნენ. იგი ხანდახან მღელვარედ წამოიწევდა, უნებურად რაღაცას წამოიძახებდა, მიმოიხედავდა, ხომ არავინ დამინახაო და ისევ დაჯდებოდა.

სათადარიგო მოთამაშედ გადაყვანის შემდეგ იგი უფრო მაყურებელი იყო ვიდრე მოთამაშე. საწვრთნელ თამაშზე იშვიათად დადიოდა. გულჩათხრობილი და მიუკარებელი ვახდა. სწავლას და წიგნს უფრო მეტად დაეწაფა და მთელი ამ ხნის განმავლობაში წყენის გამომხატველი სიტყვა არ დასცდენია. როცა ამ საგანზე ლაპარაკს ჩამოუგდებდნენ, ნაძალადევად გაიღიმებდა.

— რა ვუყოთ, ალბათ მჯობს... ხომ ხედავთ, უჩემოდაც კარგად თამაშობენ!

გუნდმა რამდენიმე ამხანაგური შეჯიბრება მართლაც მოიგო. მაყურებლები შეეჩვივნენ ქიქიკოს თამაშის სტილს, ბევრმა შეიყვარა კიდეც და დათას სახელი თანდათან დავიწყებას მიეცა.

* * *

ახლოვდებოდა გადამწყვეტი შეჯიბრებები. გუნდს სამი თამაში უნდა ჩაეტარებინა მეზობელი რაიონების ნაკრებ გუნდებთან. ამ სამი თამაშიდან ორის მოგების შემთხვევაში „სხივი“ რესპუბლიკური თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლებას იღებდა. გუნდის წევრები ღელავდნენ, ხოლო ფეხბურთის მოყვარულნი ხელების ფშვნეტით ემზადებოდნენ მომავალი სიამოვნებისათვის.

პირველი თამაში გუნდმა სამარცხვინოდ წააგო, რითაც მაყურებლის სამართლიანი გულისწყრომა დაიმსახურა. ხალხი უკმაყოფილოდ იშლებოდა. აქა-იქ გაიგონებდით ლაპარაკს იმის შესახებ, რომ ქალაქის ნაკრები გუნდი დასუსტდა მას შემდეგ, რაც დათა სათადარიგო მოთამაშედ გადაიყვანეს და გუნდის ბედი ახალ მწვრთნელსა და ქიქიკოს მიანდეს. არავინ იცოდა, რა მოელოდა გუნდს ხვალ-ზეგ...

მოთამაშეები ღელავდნენ, ერთმანეთს ფარულად ეთათბირებოდნენ და მეორე შეჯიბრებაზე დათას გამოყვანას აშკარად მოითხოვდნენ.

გუნდის მწვრთნელმა სასწრაფო კრება მოიწვია.

— მე თანახმა ვარ, — განუცხადა მან მოთამაშეებს. — თანახმა ვარ იმის გამო, რომ ახლა სუსტ მოწინააღმდეგეს უნდა შევხვდეთ... საჭიროა ქიქიკოს დასვენება უფრო გადამწყვეტი თამაშისათვის!

ბიჭებმა ერთმანეთს გაოცებით გადახედეს. ყველამ იცოდა, რომ გუნდი, რომელსაც ახლა უნდა შეხვედროდნენ, პირველზე ძლიერ გუნდად ითვლებოდა....

სხდომის დასასრულს მანამდე გაჩუმებულმა ქიქიკომ ქედმაღლურად განაცხადა:

— როგორც ვხედავთ, აქ ზოგიერთს ჩემი ავტორიტეტის დაცემა უნდა, მაგრამ ვერაფერს გახდება... ვნახოთ, რას იზამს თქვენი ფალავანი!

* * *

გახარებული მოჰქროდა სანდრო დათას სახლისკენ: დადგა დრო, როცა დათას თავისი სიმარჯვე საჯაროდ უნდა დაემტკიცებინა და გუნდში თავისი ადგილი დაებრუნებინა.

დათაც პირველად სიხარულით შეხვდა ამ ამბავს, ალტაცებით აწყობდა გეგმებს... მერე უცებ დადუმდა, ჩაფიქრდა და ერთხანს ხმა არ ამოუღია.

— რომ დავმარცხდეთ?! — წამოიძახა მან და სანდროს გადახედა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ კითხვამ სანდროც ჩააფიქრა.

ამას ფიქრობდა არა მარტო დათა და სანდრო, არამედ ყველა, ვინც გუნდის გამარჯვებას ნატრობდა.

გუნდმა მეორე შეჯიბრება დიდი სიფრთხილით ჩაატარა. დათა წინანდებურათ, გაბედულად ველარ თამაშობდა. ამას ისიც ემატებოდა, რომ მიწინააღმდეგე მართლაც ძლიერი აღმოჩნდა. ბიჭებმა მაინც შეძლეს გამარჯვების მოპოვება. ერთადერთი გადამწყვეტი ბურთი სანდრომ გაიტანა და თამაშიც დამთავრდა.

შეჯიბრების წინ გავრცელებულმა ხმებმა იმის შესახებ, რომ მოწინააღმდეგე ძალზე სუსტია და მოგება უზრუნველყოფილია, ძალზე შეამცირა ამ მოგების მნიშვნელობა. ჭიჭიკოს მომხრეები ნიშნისმოგებით გაიძახოდნენ:

— ესეც თქვენი დათა! აბა, რა გააკეთა დღეს სტადიონზე? გაჭირვებით, ვაივაგლახით გაიმარჯვეს. აფსუს, ჭიჭიკოს ოინებო!

თამაშის დამთავრების შემდეგ მწვრთნელმა გუნდი შეკრიბა:

— ჩემი მოლოდინი გამართლდა. რას გავდა თქვენი თამაში... სანდრომ გვიხსნა, თორემ დავილუპებოდით!

დათა კარგად გრძნობდა, რომ თავის შესაძლებლობაზე სუსტად ითამაშა, მაგრამ ასეთ შეფასებას მაინც არ მოელოდა... სახე აელეწა, თავი ჩაღუნა.

— ხომ გყავთ ჩემზე უკეთესი! რატომ გვიწყრებით, მოვიგეთ, ხომ არ წავაგეთ?!

ეს სიტყვები დათამ წყნარად წარმოთქვა, ხელი ჩაიქნია და გარეთ გავიდა.

— გამოიყვანეთ, მესამე შეჯიბრზეც თქვენი თადირიგო გამოიყვანეთ. მე არ ვითამაშებ! —შემოესმა გარეთ გასულ დათას ჭიჭიკოს გაფთრებული ძახილი. დათა შეჩერდა. ყოყმანობდა. მერე შინისაკენ გაეშურა.

მან გადაწყვიტა მესამე შეჯიბრებას არ დასწრებოდა.

* * *

მაგრამ ამ დილით ლოგინიდან წამოხტა თუ არა, გუნება სრულიად შეეცვალა. ეზოში მხიარული სტვენით გამოვიდა. მკლავები და გულმკერდი ცივი წყლით დაიბანა, ისევ ოთახში შებრუნდა და ფაქიზად დაუთოვებული თეთრი ტრუსები და ცისფერი მაისურა ჩაიცვა. ეს მათი სკოლის გუნდის ფორმა იყო. დიდხანს ყოყმანობდა, ბუცებიც ჩაეცვა თუ არა. მერე პატარა ჩემოდანი მონახა, გაპრიალებული ბუცები შიგ ჩააწყო; გრილი, საზაფხულო შარვალ-ხალათი გადაიცვა. საყელოს ყველა ღილი მჭიდროდ შეიკრა, ისე, რომ ცისფერი მაისურა არ გამოჩენილიყო, და ერთხანს კიდევ დაფიქრდა.

გაზფხულის მშვენიერი დილა იყო. ეზოში ჩიტები ჭიკჭიკებდნენ, ადამიანის ხმა კი არ ისმოდა. მეზობლის ბიჭები რა ხანია სტადიონზე წასულიყვნენ. ყველა ქალაქგარეთ გაკრეფილიყო ამ დილას. ქუჩიდანაც კი არ მოისმოდა ჩვეულებრივი ხმაური. ხანდახან თუ დაიგრიალებდა მანქანა, დათას ჭიშკარს ჩაუქროლებდა და ისიც, ალბათ, სტადიონისკენ მიეშურებოდა.

მეტი ყოყმანის თავი აღარ ჰქონდა. საათს შეხედა. თამაშის დაწყებას ერთი საათიღა უკლდა.

„წავალ, წავალ... სადმე, მიყრუებულ ადგილს მოვნახავ, არავის დავენახვები“—გაიფიქრა, ჩემოდანს ხელი დასტაცა და ეზოში გამოვიდა.

„მაგრამ ეს, მაისურა და ჩემოდანი?... ეს რაღათ მინდა?“ კვლავ დაეჭვებით გაიფიქრა, მაგრამ აღარც ფიქრის, აღარც ყოყმანის და მით უფრო ტანსაცმლის გამოცვლის დრო აღარ იყო... რატომღაც არც უნდოდა. ჭიშკარი გამოაღო და ქუჩაში გამოვიდა.

* * *

სტადიონს აუარებელი ხალხი მისწყდომოდა. მოხუცები, ახალგაზრდები, ქალები, ქალიშვილები და ბავშვები ერთნაირი ხალისით მიიკვლევდნენ გზას დასასხდომი ადგილებისკენ, ხმაურობდნენ, ერთმანეთს აწყდებოდნენ.

დათა თავისუფალ ადგილას ჩამოჯდა და ჩემოდანი მუხლებზე დაიდო... ეგონა, შეუმჩნეველ ადგილზე ჩამოვჯექიო, მაგრამ უცებ ხალხის ხმაურში, იქვე, მახლობლად, ნაცნობი ხმა გაიგონა. ცალი თვალით გაიხედა გვერდზე და თვალი ჯერ მარინეს მოჰკრა, მერე წითელ თაიგულებში ჩამჯდარ გოგონებს. დათამ უნებურად ამოიოხრა, სხვაგან გადაჯდომა გაიფიქრა, მაგრამ უკვე გვიან იყო. მან თვალებზე ქუდი ჩამოიფხატა, ჩემოდანს ნიდაყვებით დაეყრდნო და ვიღაც სქელი კაცის მხრებს ამოეფარა.

— რატომ არ იწყებენ?—გაისმა მარინეს ხმა.—დანიშნულ დროს სამი წუთი გადასცდა!

— ხედავ, ათი მოთამაშე უკვე მზად არის, ვიღაცას ელოდებიან!

— ალბათ ჭიჭიკოს ელოდებიან... შეიძლება დღეს თადარიგომ ითამაშოს, თვითონ ჭიჭიკომ მითხრა!

„ნუთუ ჭიჭიკო მუქარას შეასრულებს?“—გაიფიქრა დათამ და შეუმჩნევლად გახედა თაიგულებს.

„ნეტავ, მართლა ვისთვის მოიტანეს ეს ყვავილები?“

„არც თადარიგო ჩანს“...

კიდევ მოისმა მარინეს ხმა.

„აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი, მოთამაშედ თუ არ ვვარგივარ, მაყურებლად მაინც გამოვდგები“...—ფიქრობდა დათა და გული მღელვარედ უცემდა.

„აგერ, ჭიჭიკო გამოიყვანეს; მე კი მეგონა“...

დათამ სმენა გაამახვილა, მაგრამ... მარინეს სიტყვები ხალხის ხმაურში შთაინთქა. მოედანზე ფეხბურთელების შემოსასვლელს გახედა და ჭიჭიკო დაინახა, რომელიც თითქმის ძალისძალად მოჰყავდათ.

„ხედავთ, როგორ იფასებს თავს?!“

დილიდანვე აკვიატებულ გრძნობას ებრძოდა დათა. ერთი გული გაუბედავად, მაგრამ მაინც ნატრობდა ამხანაგების დამარცხებას; მეორე, კეთილი გული, კიცხავდა ამ გრძნობას და მის მოშორებას ცდილობდა.

შეჯიბრი დაიწყო.

პირველი ტაიმის დასაწყისშივე ნოწინააღმდეგემ ერთი ბურთი გაიტანა, რამაც მაყურებლის შეშფოთება გამოიწვია.

ხალხი ღელავდა, ვერ ითმენდა, წამოძახილებით აქეზებდა და ამხნევებდა მოთამაშეებს. მაგრამ არაფერი გამოდიოდა. ჭიჭიკო დაბნეულად თამაშობდა, ბურთს არავის აწვდიდა, ცდილობდა თვითონ გაეტანა, მაგრამ ვერ ახერხებდა. ხალხი უსტვენდა და უკმაყოფილოდ გუგუნებდა.

— აფსუს, სად არის ჩვენი თადარიგო!..

მარინეს ხმას გავდა. ის იყო თუ მოეჩვენა, ვერ გაეგო.

დათა უფრო მოიბუზა.

„ალბათ შემამჩნია და ისევ დამცინის!“

მეორე ტაიმში მდგომარეობა დიდხანს არ შეცვლილა თამაშის დამთავრებას ოცი-ოცდახუთი წუთი აკლდა, როცა მოწინააღმდეგემ კიდევ ერთი ბურთით გაადიდა ანგარიში.

სწორედ ამ წუთებში, ერთ-ერთი არეულობის დროს, ჭიჭიკო გულაღმა დაეცა. მსაჯმა თამაში შეაჩერა. მოედანზე და მაყურებელთა ტრიბუნებზეც ერთხანს დიდი ალიაქოთი და ხმაური სუფევდა.

გულშეწუხებული ჭიჭიკო მოედნიდან გაიყვანეს.

„ცრუობს!“ — გაიფიქრა დათამ და უცებ გაახსენდა: ... ამ რამდენიმე თვის წინათ, ერთერთი ასეთივე უშედეგო თამაშის დროს, ჭიჭიკომ მუხლისთავზე იტაცა ხელი და მოედანი კოჭლობით დასტოვა.

ჭიჭიკო ფიქრიდან გამოერკვა. ხალხი შფოთავდა, ერთმანეთს აწყდებოდა და უკმაყოფილოდ ხმაურობდა.

უცებ ვიღაცამ მთელი სტადიონის გასაგონად, რადიორეპროდუქტორის ბოხი ხმის სიმძლავრით დაიძახა:

— თადარიგო, თადარიგო გამოიყვანეთ, თადარიგო!

ეს ძახილი ხალხმა მოიტაცა, გაიმეორა და შეწყობილად აგუგუნდა:

— თა-და-რი-გო! თა-და-რი-გო!

— დათა-რიგო! დათა-რიგო!

დათას თვალებზე კინაღამ ცრემლი მოადგა. წამოიწია, ისევ დაჯდა, თავი ჩაღუნა. ვიღაცამ სიცილით მუჯლუგუნი წაჰკრა.

— ადე, ბიჭო, გეძებენ, გაიქეცი!

დათა ისევ თავჩაღუნული იჯდა; ტანში ჟრუანტელი უვლიდა, მის გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. თავი მხოლოდ მაშინ ასწია, როცა მწვრთნელის უკმაყოფილო ხმა გაიგონა:

— აქ სად დამალულხარ? გაიხადე და სტადიონზე გადი... ფეხი გაანძრიე!

დათა მას უკვე აღარ უსმენდა. თხუთმეტი წუთიღა დარჩა, თხუთმეტი წუთი... იმედი აღარ არის?... არის, არის!

იქვე მაყურებლებში გახსნა ჩემოდანი, ბუცების ჩაცმას შეუდგა.

— ჩქარა, დათა, ჩქარა! — ესმოდა აზორგებული ხალხის ხმაურში გოგონების ხმა. თან მოედნისკენ გარბოდა, თან ხალათ-შარვალს იხდიდა, უმალ მსაჯთან გაჩნდა, ნებართვა აიღო და როდესაც ბურთი ჩაიგდო...

ხელი უნებურად ზევით ასწია, თავი ღიმილით დაიქნია და მღელვარედ გადახედა ბიჭებს.

ბიჭები მის ძველ, ცისფერ მაისურას შესცქეროდნენ, გული მათაც უთრთოდათ, რაღაცას ელოდნენ.

— შევესიოთ, ბიჭებო, შევესიოთ! — გაისმა დათას წყნარი ხმა.



ძნელი იყო გათამამებულ, ძლიერ მოწინააღმდეგესთან ბრძოლა; უფრო ძნელი იყო გულგატეხილი მეგობრების გამხნევება, მაგრამ ამ სიტყვების გაგონებაზე მოქანცული მოთამაშეები უცებ აზორგდნენ, წახალისდნენ და ტალღასავით მიაწყდნენ მოწინააღმდეგის კარს. გამარჯვებისათვის აუცილებელი იყო სამი ბურთის გატანა, თხუთმეტ წუთში სამი ბურთის გატანა!

მაგრამ სამ წუთსაც არ გაევლო, რომ დათამ მარცხნიდან შემოუარა მოწინააღმდეგის კარს. მას გვერდით კვიცივით მისდევდა მთლად გახვითქული, დაქანცული სანდრო. დათამ მცველი მოატყუა, ცალი თვალით გახედა ამხანაგს და ხმადაბლა მიაძახა:

— სანდრო, ეს შენ!

სანდრომ ბურთი მიიღო, მძლავრად დაარტყა...

გაისმა ტაში, მოწონების გუგუნი და ღრიანცელი. სადღაც მტრედებიააფრინეს, ქუდები აისროლეს.

მოწინააღმდეგე კარგად არ გამორკვეულიყო, რომ დათა ახლა საჯარიმო მოედნის ცენტრიდან გაიჭრა კარისაკენ... და მეორეთაც გაისმა მისი წყნარი ხმა:

— ნიკო, ეს შენ!

ხალხი გუგუნებდა. ხმაურობდა. მეორე ბურთის გატანას ზეიმობდა. ანგარიში გათანაბრდა. გაისმა გონგის ჟრუანტელის მომგვრელი ხმა. თამაში მთავრდებოდა, ორივე გუნდი გააფრთებით იბრძოდა უკანასკნელი, გადამწყვეტი ბურთისათვის.

უცებ სანდრო მოწინააღმდეგეებს საოცარი სისწრაფით გაუსხლტა, ბურთი გაიტაცა და დათას მიაწოდა.

დათამ ბურთი მიიღო და ელვის სისწრაფით მიმოიხედა. ის მეკარის წინ მარტო იდგა. მან თავის სიცოცხლეში პირველად, ხმამაღლა, ისე რომ მაყურებლებმაც გაიგონეს, ჭირვეულად დასჭყივლა:

— ესეც, მე!..

გაისმა ტაშის გრიალი. ბურთმა ბადე შეარხია. თამაში დამთავრდა.

დათას აღარ ახსოვდა, ვინ იყვნენ ისინი, ვისაც ხელში აყვანილი გაჰყავდა იგი მოედნიდან.... მაღლა ისროდნენ, ულოცავდნენ...

არავინ ახსოვდა, მხოლოდ ერთი გახარებული, თან საოცრად დარცხვენილი კაცის სახე ჩარჩა ხსოვნაში... ამ სახემ ელვასავით გაიქროლა და, თუმცა თვალს მალე მიეფარა, აღელვებული დათა მაინც ხედავდა მას, მაინც თვალწინ უდგა.

ვინ იყო იგი?..

უცებ გაახსენდა და კინაღამ შეჰკივლა. ის ხომ გუნდის მწვრთნელი იყო. ისიც ულოცავდა, დიახ, დარცხვენილი, ღიმილით ულოცავდა...

ხალხი კი, როგორც აზორგებული ზღვა, ღელავდა, ხმაურობდა და ხმაშეწყობით გუგუნებდა:

— ვა-შა, ვა-შა, თადა-რიგო!

— ვა-შა, ვა-შა, დათა-რიგო!

* * *

— თადარიგო!

დაღლილ-დაქანცულ დათას თითქოს ბურანში შემოესმა ნაცნობი, წკრიალა ხმა. მაგრამ ეს ხმა დილანდელივით გამომწვევი და დამცინავი როდი იყო. წელში გასწორდა, სკამის ზურგს მიეყრდნო და შეხედა.

მის წინ მარინე იდგა.

— აჰა, ეს ვარდები შენ გეკუთვნის.... წელან გეხუმრეთ, ჩვენ ყველანი....

დათამ კარისკენ გაიხედა. კართან გოგონები ჩამწკრივებულიყვნენ, ხელში მაისის წითელი ვარდის თაიგულები ეჭირათ და ისინიც დარცხვენით იღიმებოდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ა. პუშკინი

# პოლტავის ბრძოლა

(ნაწყვეტი პოემიდან „პოლტავა“)

შეადგა შუქი გათენებისა
ცას, და ტრამალის შემოყოლება
ატყდა ქუხილი ქვემეხებისა.
წავიდა კვამლი მაღლა რგოლებად,
რომ შეეყაროს იქ პირველ სხივებს.
ამჭიდროებენ პოლკები მწკრივებს.
მსროლელთა რაზმი ბუჩქებში წვება;
ზუზუნებს ტყვია, ყუმბარა სკდება;
ცეცხლი დაინთო, ქღარუნებს რკინა,
წამოიყარნენ ხიშტები წინა.
ხშირ გამარჯვებით ნაიმედები
სანგრებს უტევენ მედგრად შვედები.

. . . . . . . . . . . . . . . . . .

იდაგვის მტერი უკუქცეული
ჩქარი ბათქების მცელავი სიცხით.
იქ როზენია გამომწყვდეული,
აქ შლიპენბახი გვნებდება ფიცხი.
შეირყა შვედი, დღემდე ურყევი,
მისდის მათ დროშებს ფერი ცხოველი,
ხოლო ნაბიჯი ჩვენი ყოველი
გაბრწყინებულა ზეცის კურთხევით.
მაშინღა, მაღლით შთაგონებელი,
გაისმა პეტრეს მკვეთრი ძახილი:
«ჰე, დაგვილოცოს ღმერთმა მახვილი!»
და, დიდებულთა გუნდით ხლებული,
გამოდის თვალებგაბრწყინებული
თავის მეფური კარვიდან ისა.
შეუკრავს წარბი—სახე-მწყრალია,
სვლა, მოძრაობა მისი მალია.
იგი მთლიანად რისხვაა ღვთისა.
მიდის... მიჰგვარეს მერანი რიდით.
ცხენი ფიცხია და თანაც მშვიდი...

. . . . . . . . . . . . . . . . . .

ჩამოდგა უკვე შუადღე ცხელი.
ბრძოლა ისვენებს, ვით მიწის მხვნელი.
ზოგჯერ აქა-იქ ხმლების ტრიალით
კაზაკნი ცხენებს გააქროლებენ;
პოლკები ჩუმად მწკრივს ასწორებენ;
აღარსად გააქვს დაფებს გრიალი;
ირგვლივ ბორცვებზე შესწყდა ღრიალი
თითქოს მშიერი ქვემეხებისა.
შორით ხმა ვაშას შეძახებისა
ველს მოეფინა მრისხანე ძალით:
პოლკებმა პეტრეს შეასწრეს თვალი.

და მან პოლკების წინ გამალებით
გამოაქროლა თავისი ცხენი;
სჭამდა ველ-მინდორს იგი თვალებით.
უკან მოსდევდნენ ცხენების ფრენით
მისივე ბუდის მხნე წიწილები—
სიხარულში თუ ბედის წყრომაში,
ომში, საქვეყნო მძიმე შრომაში
მისი ძმები და მისი შვილები...

. . . . . . . . . . . . . . . . . .

იქით შვედების ჯარი ქებული
ჩამწკრივებული მოსჩანდა ლურჯად;
მის წინ საკაცით ჩატარებული
მეფე კარლოსი უსიტყვოდ, მუნჯად
მისჩერებოდა ამ შეყრილობას;
ეწამებია იგი ჭრილობას,
და ჰქონდა სახე გაფითრებული.
გმირს ბელადების ახლდა კრებული.
ის ჩაიძირა ფიქრებში, წყნარი,
თითქოს ნანატრ ომს შეხვდა დაბნევით.
ბოლოს მან სუსტი ხელის აქნევით
რუსებისაკენ მიმართა ჯარი.
რუსთა ლაშქარიც დაიძრა ხელად.
ეძგერნენ კვამლში ერთმანეთს ველად,
და, ჰა, იქუხა პოლტავის ბრძოლამ!
გაშმაგებული გუგუნი, სროლა
სეტყვას აფრქვევდა განუწყვეტელსა
და მუსრს ავლებდა ცოცხალ კედელსა.

. . . . . . . . . . . . . . . . . .

სდუღს ბრძოლის ველი და ღელავს დიდად;
მაინც სარდლები დამდგარან მშვიდად,
აღგზნებულ თვალებს შორს ატარებენ,
ჯართა მიმოსვლას აკვირდებიან,
მარცხსა თუ ძლევას უმალ ხვდებიან
და აზრს ერთმანეთს უზიარებენ.

. . . . . . . . . . . . . . . . . .

მაგრამ ჰა, ბრძოლის გადაწყდა ბედი:
გავაბათილეთ, გავტეხეთ შვედი.
ვაშა! დიდება! გულო იხარე!
მტრის ურდოები უკან მივყარეთ!
მიჰყვნენ მხედრები, გამართეს ხელი;
ხმლების პირები ხოცვამ გალია.
ისე გაივსო გვამებით ველი,
თითქოს მოედო შავი კალია.

თარგმანი კონსტანტინე ჭიჭინაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმონ ჩიქოვანი

# გორის სახლი პორონინოში

პორონინოში, ლენინის მუზეუმის პირველ ოთახში,
დგას გორის სახლის პატარა მაკეტი.



ნახ. ა. ბანძელაძისა

✽

მიმდინარე წლის იანვარში 50 წელი შეუსრულდა გამოჩენილ ქართველ პოეტს, სტალინური პრემიის ლაურეატს, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს— სიმონ ივანეს-ძე ჩიქოვანს.

სიმონ ჩიქოვანის საქვეყნოდ ცნობილი პოემა «სიმღერა დავით გურამიშვილზე» და მთელი რიგი ლექსებისა: «ვინა სთქვა», «გორი», «ქართლის საღამოები», «სიმღერა სტალინზე» და სხვ. ჩვენი ახალგაზრდობის საყვარელი ნაწარმოებებია.

ს. ჩიქოვანის ლექსები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, სომხურ და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხთა ენებზე.

ვაქვეყნებთ სიმონ ჩიქოვანის ახალ ლექსს წიგნიდან «მოგზაურობა პოლონეთში».

✽

როგორც ბუდე შეფუთნული მთაში,
როგორც წიგნი და სახალხო აზრი,
ჩანს ლენინის დაფიქრებულ სახლში
გორის სახლის ფრთაშესხმული ასლი.

ტატრის ახლო მომეჩვენა მტკვარი,
კლდეზე ციხე და ტრამალის ხედი.
გორის სახლმა გამოაღო კარი
და კარებში გამოფრინდა მტრედი.

ბუდეს მოჰგავს თუ ელვარე მტევანს,
ჩეროს დარი სახლს დაჰყურებს ჭერი.
ტატრის მთასთან სამშობლოს წინ ვდგევარ
და გარშემო ჩანს ქადრების ჯერი.

შენგან წაველ და შენამდე მოველ,
საქართველოს მთები მხვდება მგონი.
გორის წყარო პოლონეთშიც ვპოვე,
ტატრის გზაზე გვეგებება გორი.

ვპოვე ბრძენის პირვანდელი ფუძე,
მთას ამშვენებს და მდინარის ნაპირს.
დროშას არხევს თუ მშვიდობის ფურცელს
და ამკვიდრებს მთის მაღლობზე აპრილს.

გაუმართე შენ პოლონეთს მხრები,
რომელი ვთქვა, როგორ ჩამოვთვალო.
სადაც წავალ, მჯერა შემეყრები,
როგორც ფიქრი და სიცოცხლის წყარო.

აივანზე მიყრდნობილი კიბე,
მამაღლებს და გონების თვალს მიხელს.
შევდექი და ფიქრი მოვიკრიბე
და შევყურებ კლდეზე შემდგარ ციხეს.

დასტრიალებს სახლს მთიელი ბავშვი,
გორს გურალი უგალობს და ლაღობს
და მგონია ამ შორეულ მთაში
ვწყვეტ მამულში დამწიფებულ ნაყოფს.

სახლი მაწვდის საგზალივით იმედს,
შეეჩვია მწვერვალებში კაშკაშს,
მიუძღვება გამარჯვებულ ჩინელს
და კორეელ შეუდრეკელ ვაჟკაცს.

აზრს აღვიძებს, როგორც რტოზე ფოთოლს,
კვებავს მართვეს და ხვალინდელ ბოკვერს,
საბერძნეთში ელანდება ობოლს
და მარსელში თავდადებულ დოკერს.

გორის სახლი ნაწილია კრემლის,
მზე უპყრია თუ სიცოცხლის თასი.
და გმირს ყოველ გზატკეცილზე ელის
გორის სახლის ეს პატარა ასლი.

წილი სითბო ტატრის მთაშიც უდევს,
ხვავს უმატებს მაღაროს თუ კალოს.
ჰგავს მომავლის გამომჩეკავ ბუდეს
და სამშობლოს დაუშრეტელ წყაროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წერილი კომუნიზმის დიადი მშენებლობიდან



ამხანაგ სტალინის სახელობის თბილისის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის პიონერები (მარცხნიდან): ალ. ჭელიძე, თ. დევდარიანი, ალ. გორდეზიანი, ს. ქემოკლიძე და რაზმის საბჭოს თავმჯდომარე ალ. მრევლიშვილი წერენ კახოვკელ პიონერებთან გასაგზავნ წერილს.

❋

თბილისიდან ლენინგრადში, კიევიდან—რიგაში, შორეული ტუნდრებიდან—მზიურ სამხრეთში... ხოლო ყოველის მხრიდან—მოსკოვში, ულიანოვსკში, გორში, სტალინგრადში და კომუნიზმის დიად მშენებლობებზე განუწყვეტლივ მიჰქრიან მხიარული, მკვირცხლი პიონერული წერილები.

ამ წერილების ავტორებია პიონერული რგოლები, რაზმები, რაზმეულები. ეს წერილები ჯანსაღი, საქმიანი, ცნობისმოყვარე წერილებია. ისინი ყოველთვის შეკითხვებს იძლევიან, ყოველთვის ისწრაფიან შეიცნონ უცნობი, ყოველთვის პასუხობენ შეკითხვებზე. ისინი ახალისებენ პიონერულ შეკრებებს, თან ერთვიან პიონერულ ოქმებს — ალამაზებენ პიონერულ არქივს.

რამდენი სითბო, რამდენი გულწრფელობა, რამდენი კეთილი სურვილია ამ წერილებში. პიონერულ მიმოწერას უკვე დიდი ტრადიცია აქვს ერთ დიდ ოჯახად გაერთიანებულ ჩვენს მრავალეროვან საბჭოთა სამშობლოში. მარტო მოსკოველ და გორელ პიონერთა მიერ მიღებული წერილები რომ შეიკრიბოს გამოსაცემად, ალბათ ათეული ტომები დასჭირდებოდა.

პიონერული მიმოწერა ნაწილია პიონერული ცხოვრებისა. იგი არა მარტო საშუალებაა დიდი და მშობლიური საბჭოთა ქვეყნის შესასწავლად, არამედ ერთა შორის მეგობრობის გამოხატულებაც.

მიმდინარე წლის იანვარში ამხანაგ სტალინის სახელობის თბილისის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის პიონერებმა წერილობითი კავშირი დაამყარეს ქალაქ ახალი კახოვკის პიონერებთან. თბილისელი პიონერები თხოვდნენ კახოვკელ პიონერებს, ეამბნათ კახოვკის ჰიდროკვანძის მშენებლობის შესახებ. ამ დღეებში თბილისელმა პიონერებმა პასუხი მიიღეს კომუნიზმის დიადი მშენებლობიდან. ქვემოთ ვაქვეყნებთ თბილისელი და კახოვკელი პიონერების პირველ წერილებს.

❋

## მხურვალე პიონერული სალამი კახოვკელ პიონერებს!

გესალმებით საქართველოდან, მშენებელთა ქალაქის ნორჩ პიონერულ თაობას. გისურვებთ, ღირსნი ყოფილიყავით მშობლებისა, რომლებიც კომუნიზმის დიად მშენებლობაზე იბრძვიან პარტიისა და ხალხის მიერ დასახული ამოცანის შესასრულებლად.

მთელი ჩვენი ფიქრი და გულისყური მიპყრობილია კომუნიზმის დიადი მშენებლობებისაკენ. თქვენ, კახოვკელი პიონერები, ბედნიერები ხართ—წილად გხვდათ საკუთარი თვალით გეცქირნათ, როგორ ჩაეყარა საფუძველი კახოვკის ჰიდროკვანძს, დღეს თქვენს თვალწინ მიმდინარეობს ისტორიული მნიშვნელობის გრანდიოზული მშენებლობა, მომავალში მოწმენი გახდებით მისი საზეიმო გახსნისა.

გთხოვთ, გვიპასუხოთ წერილზე, გვიამბოთ თქვენი მშობლიური ქალაქის—ახალი კახოვკის შესახებ, აგვიწეროთ თქვენი პიონერული რაზმეულის ცხოვრება, დაგვეხმაროთ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი ჰიდროკვანძის მშენებლობის გაცნობაში.

**სტალინის სახელობის თბილისის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის მეექვსე რაზმეულის მეთერთმეტე რაზმის პიონერები.**

ეროვნული ბიბლიოთეკა





✻

სურათზე: 1. ახალი კახოვკა ყველაზე ახალგაზრდა ქალაქია მთელს უკრაინაში. მშენებელთა ქალაქს ერთი წლის წინათ ჩაეყარა საძირკველი და დაკვრითი ტემპით იქნა აშენებული. იგი დღითიდღე იზრდება და მშვენდება. სურათზე თქვენ ხედავთ მუშათა ერთ-ერთ უბანს. ამ ახალსა და ნათელ შენობებში კახოვკის ჰიდროკვანძის მშენებელთა ოჯახები ცხოვრობენ. 2. კახოვკის ჰიდროკვანძის მშენებლობას ხშირად ეწვევიან ხოლმე ექსკურსანტები. კომუნიზმის დიადი მშენებლობისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ პიონერები. სურათზე: ახალი კახოვკის საშუალო სკოლის მე-5 კლასელი პიონერები ეცნობიან ჰიდროკვანძის ძირითად ნაგებობებს. «ექსკავატორ «Э-505»-ის მემანქანე პ. მიროშნიკი ხალისით უამბობს პიონერებს ექსკავატორის მუშაობის შესახებ.

✻



## კახოვკელი პიონერების წერი

ძვირფასო ქართველო მეგობრებო!

მივიღეთ თქვენი წერილი და განვიხილეთ რაზმეულის შეკრებაზე. პიონერულ სალამზე სალმითვე გპასუხობთ, კეთილ სურვილებზე—კეთილი სურვილებით. რაც შეეხება თქვენს თხოვნას—გიამბოთ ჩვენი მშობლიური ქალაქის—ახალი კახოვკის და მთელს ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი უძლიერესი ელსადგურის მშენებლობის შესახებ, ვწერთ მოკლედ:

ჩვენი ქალაქი ძალზე ახალგაზრდაა. ერთი წლის წინათ ..გი არ არსებობდა. ახალი კახოვკის ადგილზე მხოლოდ ქვიმიანი ტრამალები იყო. ახლა კი ახალი კახოვკა—მშენებელთა ქალაქი—მდინარე დნეპრის გასწვრივ ოთხ კილომეტრზეა გადაჭიმული. ქალაქის ფართო ქუჩები ასფალტირებულია, დიდი სამუშაოა ჩატარებული ქალაქის გასამწვანებლად. ამ საქმეში კახოვკელმა პიონერებმაც მივიღეთ მონაწილეობა. ქალაქის ცენტრში აგებულია კულტურის სახლის მშვენიერი შენობა, მუსიკალური სკოლა, საზაფხულო თეატრი, სტადიონი, პოლიკლინიკა, ჰიდროტექნიკური ინსტიტუტი და ჩვენი მშობლიური სკოლის შენობა.

ყირიმში ჩვენთვის შენდება დიდებული პიონერული ბანაკი.

ჩვენ გვიყვარს ჩვენი ახალგაზრდა ქალაქი, რომელიც დღეთიდღე იზრდება და მშვენდება — კახოვკის ელსადგურის მშენებლობასთან ერთად. ახალი კახოვკა ჩვენი დედებისა და მამების, ჩვენი უფროსი ძმებისა და დების გაშენებულია; ახლა ისინი განაგრძობენ ქალაქის კეთილმოწყობას და კომუნიზმის დიად მშენებლობაზე ილვწიან. ჩვენ მოწმენი ვართ გრანდიოზული მშენებლობისა, მოწმენი ვართ გაუგონარი შრომითი წარმატებებისა. ჩვენ გარემოსილი ვართ მშობლების ზრუნვითა და ყურადღებით, ამიტომ ხშირად ვფიქრობთ იმის შესახებ, თუ რითი შეგვიძლია ვასახელოთ ჩვენი მშობლები—კომუნიზმის დიადი მშენებლობის მუშაკები.

ეროვნული ბიბლიოთეკა







# წერილი თბილისელ პიონერებს

მხოლოდ კარგი სწავლით!—გვპასუხობენ თვითონ ისინი—კომუნიზმის მშენებლები.

და ჩვენც ვსწავლობთ, რადგან ცოდნის გარეშე კომუნიზმის დიად მშენებლობაზე ვერ გამოვდგებით. ასეთი დიადი მშენებლობანი კი, როგორც უფროსები გვეუბნებიან, მომავალში კიდევ უფრო მეტი იქნება და იმ მშენებლობაზე უკვე ჩვენ მოგვიხდება, თქვენთან ერთად, მუშაობა.

მიმდინარე წელს აგებული იქნება კაშხალი, რაბი და ელსადგურის შენობა. ახლა მშენებლობაზე დიდი შრომითი აღმავლობაა. არაერთი მშენებელი 1954-55 წლების ანგარიშში მუშაობს. კიდევ ბევრი საინტერესო რამის მოწერა შეიძლებოდა, მაგრამ ყველაფერს ვერ მოვყვებით—საკუთარი თვალით უნდა ნახოს ადამიანმა...

და აი, ყოველდღე ათობით და ასობით საბჭოთა ადამიანი ეწვევა ხოლმე ჩვენს ქალაქს, კომუნიზმის დიად მშენებლობას, მათ შორის პიონერებიც, ჩვენი დიდი საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან.

გასულ წელს, საზაფხულო არდადეგების დროს, ჩვენს ქალაქში მოწყობილი იყო ტურბაზა 250 ნორჩი ტურისტისათვის. წელს, საზაფხულოდ, ტურბაზა უფრო ფართოდ იქნება ორგანიზებული. ჩვენ გირჩევთ, მოაწყობთ რა მოგზაურობას მშობლიური ქვეყნის შესასწავლად, მარშრუტში კახოვკის ჰიდროკვანძის მშენებლობაც შეიტანოთ.

გვქონდეს მიმოწერა. მოგვწერეთ დიდ მშენებლობათა შესახებ—თქვენს რესპუბლიკაში. და თუ გადაწყვეტთ, გვეწვიოთ კომუნიზმის დიად მშენებლობაზე, გვაცნობეთ წინასწარ, ჩვენ დაგეხმარებით მარშრუტის შედგენაში.

პიონერული სალამით,

**ახალი კახოვკის საშუალო სკოლის პიონერები.**

✽

3. ელექტრულმა მიწისმთხრელმა მანქანამ «ენერგეტიკმა» კახოვკის ელსადგურის ქვაბურში მილიონ სამასი ათასი კუბური მეტრი მიწა ამოიღო, რითაც დიდად გადააჭარბა დადგენილ ნორმებს. სურათზე: «ენერგეტიკი» კახოვკის ელსადგურის ქვაბურში. 4. ახალი კახოვკის საშუალო სკოლის მეხუთეკლასელი ფრიადოსანი პიონერები: ქ. რიუმშინა (მარცხნივ) და ო. ტკაჩენკო (მარჯვნივ) გულითადი მეგობრები არიან, ისინი ყოველთვის ერთად ამზადებენ გაკვეთილებს. 5. ახალ კახოვკაში, სადაც ერთი წლის წინ მხოლოდ ქვიშიანი ტრამალი იყო, დღეს ათასობით მოზარდი ხეა დარგული. ქალაქის გამწვანებაში ხალისით იღებენ მონაწილეობას პიონერები. სურათზე: კახოვკის ჰიდროელსადგურის მშენებლობის უფროსი მებაღე სტეფანე გილდჩინსკი პიონერებს ლ. მარტინოვას (მარცხნივ) და ლ. იურჩენკოს (მარჯვნივ) უხსნის ნერგების დარგვის წესს.

✽

6604






# საბჭოთა საქართველო ახალ ხუთწლედში

## ოცდათორმეტი წლის წინათ

1921 წლის 25 თებერვალს ამხანაგმა სერგო ორჯონიკიძემ დეპეშით აცნობა მოსკოვში ლენინსა და სტალინს: „თბილისში საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ფრიალებს. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“

აღსრულდა ქართველი ხალხის საუკუნეობრივი ოცნება. ქართველმა ხალხმა დაიწყო ახალი ცხოვრება. ბოლო მოეღო ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ ჩამორჩენილობას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველო ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა იყო, ხოლო მრეწველობა წვრილი შინამრეწველური საწარმოებით იყო წარმოდგენილი. იმდროინდელ საქართველოში არც ერთი მსხვილი საწარმო არ იყო, წარმოებდა მხოლოდ ჭიათურის მარგანეცის საბადოს დამუშავება და ისიც უცხოეთში გაჰქონდათ, ხოლო ტყიბულის ქვანახშირის მოპოვება იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ ადგილობრივ მოთხოვნილებასაც ვერ აკმაყოფილებდა.

ძალზე ჩამორჩენილი იყო სოფლის მეურნეობაც. ერთი გუთანი — თხუთმეტ კომლზე, ერთი სახნისი — სამ მეურნეობაზე. აი, ძველი საქართველოს სოფლის მეურნეობის „ტექნიკური შეიარაღება“. ამასთანავე, სოფლის მეურნეობის მთელი ნედლეული მეფის რუსეთსა და უცხოეთში გაჰქონდათ. მთელი სახალხო მეურნეობა ისე იყო ჩამორჩენილი, რომ მისი ვერც ერთი დარგი ვერ აკმაყოფილებდა ადგილობრივ მოთხოვნილებას.

ოცდათორმეტი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა საქართველოში. ამჟამად „ჩვენი რესპუბლიკა სულ უფრო მზარდი რაოდენობით აწარმოებს ფოლადს, ნაგლინს, ფეროშენადნობებს, ქვანახშირს, მარგანეცს, ცემენტს, თვითსაცლელ ავტომანქანებს, მიწისმწოვ მანქანებს, ზუსტ ხელსაწყოებს, ლითონსაჭრელ ჩარხებსა და საფეიქრო დაზგებს“ (ა. ი. მგელაძე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ის, რაც რუკაზე არ იყო

სტალინური ხუთწლედების პერიოდში საქართველოში განვითარდა მრეწველობის რიგი ახალი დარგები, მათ შორის, განსაკუთრებით მანქანათმშენებლობა; მაგრამ ამ უკანასკნელისათვის საჭირო ლითონს საქართველო დონბასიდან ღებულობდა. საქართველოს არ გააჩნდა საკუთარი შავი მეტალურგია და აი, დიდი სტალინის მითითებით რუსთავში დაიწყო მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა.

ჩვენი რესპუბლიკა მდიდარია შავი მეტალურგიისათვის საჭირო ნედლეულით. ჩვენ გვაქვს მსოფლიოში საუკეთესო თავისი ხარისხითა და მარაგით ჭიათურის მარგანეცის საბადო, რომლის ბაზაზე მუშაობს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა. 1955 წლისათვის საქართველოს მაღაროელები მოიპოვებენ გაცილებით მეტ მარგანეცს, ვიდრე 1951 წელს. მარგანეცის ეს უზარმაზარი რაოდენობა ერთ გროვად რომ დავაყენოთ, იგი ქეოფსის ცნობილი პირამიდის მოცულობას გადააჭარბებს.

ჩვენ გაგვაჩნია მაღალხარისხოვანი კოქსვადი ქვანახშირი— ტყვარჩელსა და ტყიბულში, ხოლო ახალციხეში— მურანახშირი. ჩვენი რესპუბლიკა ქვანახშირით ამარაგებს არა მარტო რუსთავსა და საქართველოს სხვა საწარმოებს, არამედ მოძმე სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებსაც. 1955 წელს საქართველოს ქვანახშირის მოპოვება 1951 წელთან შედარებით თითქმის ერთიორად გაიზრდება.

ჩვენ გაგვაჩნია მძლავრი ელექტრომეურნეობა, რომელიც ქართული ფოლადის ქალაქს ამარაგებს ელექტროენერგიით. გაგვაჩნია აგრეთვე მეტალურგიისათვის საჭირო დოლომიტები, კვარციანი ქვიშები, გვაქვს საკუთარი ჩარხმშენებელი ქარხანა, რომელიც უშვებს მეტალურგიისათვის საჭირო სპეციალურ მძიმე ჩარხებს და სხვ. რუსთავის მეტალურგიული ქარხანა მხოლოდ რკინის მადანს იღებს დაშქესანიდან (აზერბაიჯანის სსრ).

1950 წლის აპრილში რუსთავში უკვე გამოდნობილი იქნა პირველი ქართული ფოლადი და რუსთავი უკვე დიდი რაოდენობით აწოდებს ლითონს ქუთაისის საავტომობილო ქარხანას; ამზადებს მილებს ნავთობის მრეწველობისათვის, წყალსადენებისათვის, მანქანათმშენებელი საწარმოებისათვის და სხვ.

სტალინის სახელობის რუსთავის მეტალურგიული ქარხანა მიმდინარე ხუთწლედში სავსებით უზრუნველყოფს ამიერკავკასიის რესპუბლიკების მოთხოვნილებას თუჯზე, ფოლადსა და ნაგლინზე.

* * *

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში მხოლოდ რამდენიმე მსხვილი დასახლებული პუნქტი იყო. მათ შორის თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, სუხუმი და სხვ. თუმცა არც ერთ მათგანში არ იყო მსხვილი საწარმოები. საკმარისია აღინიშნოს, რომ თვით თბილისში მხოლოდ 20 ათასამდე სამრეწველო მუშა ითვლებოდა, ე. ი. ნაკლები ვიდრე ჯარისკაცები და პოლიციელები.

სტალინურ ხუთწლედებში საქართველოში აღმოცენდა და განვითარდა ახალი სამრეწველო ცენტრები. უდიდეს სამრეწველო და კულტურულ ცენტრებად გადაიქცნენ თბილისი და ქუთაისი, ბელადის სამშობლო გორი, სადაც ამუშავდა ბამბეულის დიდი საფეიქრო კომბინატი; გურჯაანი და კასპი, ზესტაფონი და ტყიბული, ზუგდიდი და ფოთი, სუხუმი და ბათუმი, წულუკიძე, მახარაძე და სხვ.

ამჟამად საბჭოთა საქართველო მაღალგანვითარებულ სამრეწველო და საკოლმეურნეო რესპუბლიკას წარმოადგენს. იგი საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობაში შედის, როგორც მანქანათმშენებლობის, მძლავრი ჰიდროელექტროსადგურების, მრავალფეროვანი გემოკვების მრეწველობის, კურორტებისა და სამთო-მოპოვებითი მრეწველობის რესპუბლიკა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სოფლის მეურნეობის აღმავლობა

უხვი ქართული მიწა შესანიშნავ მოსავალს იძლევა. საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში, არხანგელსკიდან ტაშკენტამდე და ბალტიისპირეთიდან შორეულ ვლადივოსტოკამდე, საბჭოთა ადამიანები სვამენ სურნელოვან ქართულ ჩაის, რომელიც თავისი ხარისხით არ ჩამოუვარდება ცეილონის ცნობილ ჩაის. მთელ საბჭოთა კავშირშია ცნობილი ქართული, ვიტამინებით მდიდარი ციტრუსოვანი ნაყოფი — ლიმონი და მანდარინი, ფორთოხალი და გრეიფრუტი. ქართული მაღალხარისხოვანი ღვინო განთქმულია უცხოეთშიც.

საქართველოს სოფლის მეურნეობიდან საკავშირო მნიშვნელობა აქვს ჩაისა და ციტრუსების კულტურას, მევენახეობას, ეთერზეთოვან კულტურებს, მეხილეობასა და სხვ.

საქართველო იყო და დარჩა ჩაის თითქმის ერთადერთ მთავარ მწარმოებლად საბჭოთა კავშირში. დიდი სტალინის მითითებით საქართველომ უნდა დააკმაყოფილოს ჩაით მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება. ამ მიზნით 1957 წლისათვის ჩაის პლანტაციების ფართობი გადიდდება 23 ათასზე მეტი ჰექტარით და ფართობი 80 ათას სამას ჰექტარს მიაღწევს, ხოლო ჩაის საერთო მოსავალი კი 211.000 ტონას. გარდა ამისა, ამავე პერიოდში საქართველოში აშენდება ჩაის კიდევ 26 ახალი ფაბრიკა, მათ შორის ერთი ჩაის საწნეხი ფაბრიკა.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ციტრუსოვანი კულტურების განვითარებას აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ქუთაისის ოლქის შავი ზღვისპირა რაიონებში. თუ 1913 წელს ციტრუსოვანთა ფართობი მხოლოდ 160 ჰექტარს უდრიდა, 1955 წლისათვის ეს ციფრი 30 ათას ჰექტარს მიაღწევს, ხოლო ამავე პერიოდისათვის დამზადებული იქნება 700 მილიონი ცალი ნაყოფი, 1957 წლისათვის კი ერთი მილიარდი ცალი, ე. ი. იმდენი, რამდენსაც იძლევა ციტრუსოვანი ნაყოფის მსოფლიო მნიშვნელობის მწარმოებელი — ფლორიდის ნახევარკუნძული.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენს რესპუბლიკაში მევენახეობა. საყოველთაოდ ცნობილია ქართული ჯიშის ვაზი რქაწითელი და მუხრანული, ციცქა და ცოლიკოური, ალექსანდროული და ჩხავერი. ჩვენმა საფერავმა შორეულ არგენტინასაც კი მიაღწია. ორიოდე წლის წინათ გამოვიდა შორეული ცურვის საბჭოთა კაპიტანის როდინის წიგნი „ხუთი კვირა სამხრეთ ამერიკაში“, სადაც ნათქვამია, რომ არგენტინაში საქართველოდან წაღებული საფერავი კარგად შეეგუა ადგილობრივ პირობებს და უმაღლესი ხარისხის ღვინოს იძლევა. კიდევ მეტიც, არგენტინული საფერავი კიდევაც გააქვთ უკვე სამხრეთ ამერიკის სხვა ქვეყნებში.

1955 წლისათვის ვენახის ფართობი საქართველოში 60 ათას ჰექტარს მიაღწევს. ამავე პერიოდისათვის ჩვენი რესპუბლიკა დაამზადებს 28 მილიონ ლიტრ მაღალხარისხოვან ღვინოს, 5 მილიონ ლიტრ შუშხუნა „საბჭოთა შამპანურს“, მილიონ რვაასიათას ლიტრ არაყსა და კონიაკს. მთელი ეს სითხე ერთ ჭურჭელში რომ მოვათავსოთ, მაგალითად, გიგანტურ ბოთლში, რომლის ფსკერის დიამეტრი ერთი მეტრი იქნება მაშინ ამ ბოთლის სიმაღლე 15 კილომეტრს მიაღწევს, ე. ი. თითქმის ორნახევარჯერ გადააჭარბებს მყინვარწვერის სიმაღლეს.

მეხუთე სტალინურ ხუთწლედში დიდად გაიზრდება აგრეთვე ეთერზეთოვანი კულტურების: ტუნგოს, ევკალიპტის, ბამბუკისა და სხვა ძვირფასი კულტურების ფართობი. ერთიორად გაიზრდება პირუტყვისა და ფრინველის რაოდენობა.

ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი საპატიო ამოცანაა საკუთარი წარმოების მარცვლეულით დაიკმაყოფილოს მოთხოვნილება 1957 წლისათვის. ამ მიზნით მარტო მარცვლეული კულტურების ფართობი ერთ მილიონ ჰექტარზე მეტს მიაღწევს.

* * *

საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახალი ფართობების მორწყვას, ჭაობების ამოშრობას, დღემდე გამოუყენებელი მიწების ათვისებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში არც ერთი დიდი სარწყავი არხი არ იყო, ხოლო პატარა პრიმიტიული არხების საშუალებით ირწყვებოდა მხოლოდ 95 ათასი ჰექტარი ფართობი.

სტალინური ხუთწლედების პერიოდში საქართველოში მრავალი დიდი სარწყავი არხი აშენდა. მათ შორის, ტირიფონის, სკრა-ქარელის, დოესგრაკლის, ვანათის, სალთვისის, კეხვისა და სხვ.

თბილისის ოლქის სოფლის მეურნეობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სტალინის სახელობის სამგორის სარწყავ სისტემას. როგორც ცნობილია, ზემო სამგორის არხის მშენებლობა დამთავრდა 1951 წლის 4 ნოემბერს; შეიქმნა „თბილისის ზღვა", რომელიც ჩვენი დედაქალაქის მშრომელთა საყვარელ დასასვენებელ ადგილს წარმოადგენს, და რაც მთავარია, ამ ზღვიდან წყალს მიიღებს ქვემო სამგორის არხი. ზემო სამგორის არხი მორწყავს დღემდე თითქმის აუთვისებელ 41 ათას ჰექტარ მიწას. ამასთანავე მიმდინარე წელს დაიწყება ქვემო სამგორის არხის მშენებლობა. ეს უკანასკნელი მორწყავს საგარეჯოს, კაჭრეთისა და სიღნაღის რაიონების 41,5 ათას ჰექტარ მიწას.

საქართველოს სარწყავ არხებს შორის ყველაზე დიდი ნაგებობა იქნება ალაზნის არხი, რომელიც მორწყავს თბილისის ოლქის მიწებს 100 ათასი ჰექტარის რაოდენობით, ხოლო წყლით უზრუნველყოფს 50 ათას ჰექტარს. 1957 წლისათვის საქართველოში სარწყავი მიწების ფართობი 635 ათას ჰექტარს გადააჭარბებს, ე. ი. 1913 წელთან შედარებით შვიდჯერ გაიზრდება.

მიწების მორწყვასთან ერთად, დიდი მუშაობა ტარდება ჭაობიანი ადგილების ამოსაშრობად, განსაკუთრებით კოლხეთის დაბლობში. კოლხეთის ჭაობების ამოშრობის შედეგად კოლმეურნე გლეხობამ უკვე მიიღო 80 ათას ჰექტარზე მეტი ახალი სასოფლო-სამეურნეო ფართობი, სადაც მოეწყო ახალი სოფლები, გაშენდა ჩაის, ციტრუსების და ძვირფას ტექნიკურ კულტურათა პლანტაციები.

მიმდინარე ხუთწლედში ძირითადად დამთავრდება კოლხეთის საუკუნეობრივი ჭაობის ამოშრობა და ჩვენი სოფლის მეურნეობა დამატებით მიიღებს ათეულ ათასობით ახალ მიწებს.

# კურორტების ქვეყანა

მზიური საქართველო მთელს საბჭოთა კავშირში ცნობილია თავისი კლიმატური და სამკურნალო კურორტებით. ბორჯომი და წაღვერი, ბაკურიანი და აბასთუმანი, წყალტუბო და ახტალა, თეთრწყარო და ბახმარო, შავი ზღვისპირა კურორტები ათეული ათასობით დამსვენებელს იზიდავს ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა კუთხიდან.

განსაკუთრებით მდიდარია საქართველო მინერალური სამკურნალო და სასმელი წყლებით. საკმარისია ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის ყველა სამკურნალო წყლების ერთი მესამედი საქართველოს ტერიტორიაზეა. ჩვენი მინერალური სასმელი წყლები: ბორჯომი და ჯავა, სკური და ნაბეღლავი, საირმე და ზვარე ათეული მილიონი ბოთლებით იგზავნება მთელ საბჭოთა კავშირში. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ახალ სტალინურ ხუთწლედში ბორჯომში დამთავრდება ახალი მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნის მშენებლობა, რომელიც 60 მილიონ ბოთლს მოგვცემს წელიწადში. გარდა ამისა, აშენდება ათი მილიონი ლიტრა სიმძლავრის ჩამომსხმელი ქარხნები საირმეში, ზვარეში, ავადხარაში, სკურსა და ნაბეღლავში.

საუკეთესო კურორტები, მრავალნაირი სამკურნალო წყაროები და სასმელი მინერალური წყალი, ცხოველმყოფელი მზე, მდიდარი და თვალწარმტაცი ბუნება, ცადაზიდული მარადთოვლით დაფარული კავკასიონის მთები, ისტორიული ძეგლები და სხვა, დიდად უწყობს ხელს საქართველოში ტურიზმისა და ალპინიზმის განვითარებას.

* * *

ოცდაათორმეტი წელია ქართველი ხალხი საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად წინ მიდის კომუნიზმისაკენ, კიდევ უფრო უკეთესი მომავლისაკენ. „მაღლა უჭირავთ რა ლენინიზმის ყოვლისშემძლე დროშა, საქართველოს კომუნისტები მზად არიან შეასრულონ პარტიისა და ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ყოველი მითითება" (ა. ი. მგელაძე).

გ. ზარდალიშვილი
გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მვანა ვამუკე*



ი. ვალენტინოვი

ნახ ა. ბანძელაძისა

## 1

რაც უფრო დიდხანს მუშაობდა მვანა ვამუკე მისტერ გადსბისთან, მით უფრო მეტად რწმუნდებოდა იმაში, რომ მზუნგუ** უსამართლო ხალხია.

მანჯიჩუმვის ტომი, რომელსაც მვანა ვამუკე ეკუთვნოდა, ინგლისის კოლონიის — კენიის სამხრეთით, კილიმანჯაროს მთის ახლოს ცხოვრობდა. დედამისმა პირველ შვილს მვანა ვამუკე დაარქვა, რაც „ქალის ვაჟიშვილს“ ნიშნავს; მას იმის დროც კი არა ჰქონია, რომ შვილის სახელზე ეფიქრა. ვამუკე ყორანივით შავი იყო; თეთრი კბილების სწორი მწკრივი კიდევ უფრო აჩენდა მისი სახის სიშავეს. ჯიბეების უქონლობის გამო ვამუკე თავის ხშირ, ხუჭუჭ თმებში ინახავდა პატარა დანას, რომელსაც ჭამის დროს ხმარობდა და დიდ, წითელ ფანქარს, რომელიც მისტერ გადსბის პარკში იპოვა. ვამუკე ჯერ კიდევ ჩვიდმეტი წლისა იყო, მაგრამ ფართო მხარბეჭითა და მკვრივი კუნთებით სხვებისაგან გამოირჩეოდა. მას მთელს ტანსაცმელს ერთადერთი ძველი, მოკლე შარვალი შეადგენდა. ყურებში გაკეთებული ჰქონდა ოთხი ფერადი ჯოხი — თითოში ორ-ორი; ლოყები სამ-სამი პარალელური ჭრილობით ჰქონდა დასერილი — რაც იმას ნიშნავდა, რომ ის მანჯიჩუმვის ტომს ეკუთვნოდა. „მანჯიჩუმვი“ „მლაშე წყალს“ ნიშნავს. ეს სახელწოდება ჯერ კიდევ იმ დროიდან შემორჩა, როცა ამ ტომის კრაალები*** მლაშე ტბასთან მდებარეობდა. მაგრამ შემდეგ მოვიდნენ თეთრები, დაიკავეს მათი მიწები და მანჯიჩუმვის ხალხი ტარუს უდაბნოსაკენ განდევნეს.

ვამუკეს უბედურება იმ დღიდან დაიწყო, როცა მუშახელის შემგროვებელი აგენტი მისტერ ლოუ — პატარა, მელოტი კაცი — მათთან კრაალში ჩავიდა და, მოაჩვენა რა თავი ბებერ ბელადს — მტუ-ნიაას მეგობრად, მაგრად დაათრო იგი. ვამუკე ამ მეგობრობის პირველი მსხვერპლი გახდა. იგი მიიპატიჟეს მოხუც მტუ-ნიაას სახლში, სადაც მისტერ ლოუმ მოურიდებლად გასინჯა ვამუკე ყოველმხრივ; შეხედა მის კბილებს და თავისი გრძელფრჩხილიანი სქელი თითიც კი ჩაუყო პირში. თეთრკანიანმა მვანას ეშმაკურად უთხრა, რომ პლანტაციაზე ის ბევრ ფულს იშოვიდა, იყიდდა თოფს, ვაზნებს, თხებს, სამაჯურებს — მომავალ ცოლისათვის, და ყველაზე მდიდარ კაცად იქცეოდა მთელს კრაალში. გულუბრყვილო ვამუკემ დაიჯერა. მტუ-ნიაამ მისტერ ლოუსაგან რამდენიმე ყავისფერი ქაღალდი მიიღო და მვანა ვამუკემ მისტერ გადსბის პლანტაციებში ამოჰყო თავი.

წინათ ვამუკე არასოდეს გაურბოდა სამუშაოს. ეხმარებოდა დედას ან მუშაობდა ბებერი ბელადის ყანებში. მაგრამ პლანტაციები მას სამუდამოდ შესძულდა — ეს ნამდვილი კატორღა იყო.

ყოველ დილით, გათენებისას, ზედამხედველის ხრინწიანი ხმა სწყვეტდა ვამუკეს ტკბილ ძილს. ძლივძლივობით დგებოდა მვანა. სხვებთან ერთად იღებდა სიმინდის ულუფას და სამუშაოდ მიდიოდა. დილიდან დაღამებამდე მცხუნვარე მზის ქვეშ მუშაობდა იგი პლანტაციაში.

ზედამხედველი ბოილი, უზარმაზარი მულატი,**** რომლის ბრიგადაშიც მვანა ვამუკე მოხვდა, გულქვა ადამიანი იყო. ბოილი უფროს ზედამხედველად გახდომას ოცნებობდა და ყოველ ღონეს ხმარობდა ამის მისაღწევად; ბატონს თავის ერთგულებას უმტკიცებდა — მუშტებს ატრიალებდა დაუნდობლად. მის მახვილ თვალს არაფერი ეპარებოდა. მისი საყვარელი ხერხი იყო — ჩუმად მიჰპარვოდა დამალულ ან გაშტერებულ ზანგს და მთელი ძალღონით დაეკრა შიშველ ზურგზე ბოროტად მოსისინე შოლტი.

ვამუკე ორი თვის განმავლობაში შრომობდა მისტერ გადსბის პლანტაციებში, ხოლო შემდეგ, სასახლეში გადაიყვანეს. სამ ზანგს ვერ გაეძლო ყოველდღიური ცემა-ტყეპისათვის, დაეტოვებინა გადსბისათვის კუთვნილი ჯამაგირი და გაქცეულიყო. სწორედ ამიტომ, ვამუკეს უნდა შეეცვალა ერთ-ერთი მათგანი.

ვამუკეს ვალდებულებას შეადგენდა ოთახების დალაგება, ხოლო დანარჩენ დროს — შემოსასვლელ კართან დგომა. მას უნდა მოეხსენებინა ბატონისათვის სტუმრების მოსვლის ან სტუმრებისათვის მისი სახლში არ ყოფნის შესახებ, თუ ბატონს მათი მიღება არ სურდა. აქ მისთვის ყველაფერი ახალი იყო. ძაღლებიც კი სხვანაირნი იყვნენ ამ სახლში.

---

* იბეჭდება შემოკლებით.

** მზუნგუ ზიზღის გამომხატველი ზედმეტი სახელია, რომელსაც აფრიკის ზოგიერთ კუთხეში თეთრკანიან კოლონიზატორებს უწოდებენ.

*** კრაალი — სოფელს ნიშნავს.

**** მულატი — ადამიანი, რომლის დედა ზანგია, ხოლო მამა თეთრკანიანი.

ერთხელ პარკში სეირნობისას ვამუკემ შეამჩნია, რომ ძაღლი ეპარებოდა; ვერ მოასწრო პალმაზე აცოცება, რომ ძაღლმა უკბინა, შემდეგ იქვე, ახლოს მდგომ გადსბისთან მიირბინა და ფეხებში გაუწვა კუდის ქიცინით — თითქოს თავის ბატონისაგან გმირობის ჩადენისათვის ჯილდოს ელისო.

გადსბიმ მას ალერსით გადაუსვა ხელი, ხეზე მჯდომ ვამუკეს კი წყრომით დაემუქრა.

მთელ სასახლეში მხოლოდ ორნი ცხოვრობდნენ — გადსბი და მისი მაღალი, ქერა ქალიშვილი. გადსბის მეუღლე დიდი ხანია რაც მოჰკვდომოდა. ბოროტი ხმები ამტკიცებდნენ, რომ ქმარსაც მიუძღოდა წილი მის სიკვდილში.

ერთადერთი არსება მთელ ქვეყანაზე, რომელიც მას უყვარდა, რასაკვირველია, თავისი თავის შემდეგ, იყო მისი ქალიშვილი ანაბელა; სახლში ყველაფერი განკუთვნილი იყო მისი მრავალი ახირებული სურვილის შესასრულებლად.

გადსბი თითქმის ყოველთვის ერთნაირად იცვამდა: მოკლესახელოებიანი პერანგი — გახსნილი საყელოთი, მოკლე შარვალი, სქელძირიანი ფეხსაცმელი და ნაცრისფერი გეტრები. ქუდს მაშინაც კი არ იხურავდა, როდესაც პლანტაციაში მიდიოდა, მიუხედავად იმისა, რომ თმა გვალვისაგან მოძცდარ ყანასავით თხელი ჰქონდა. ოცი წლის განმავლობაში იგი კარგად შეჩვეოდა აფრიკის მცხუნვარე მზეს.

გადსბი სისტემატურად ეწეოდა სპორტს. ყველაზე მეტად კრივი უყვარდა, რისთვისაც „პარტნიორებად" რიგრიგობით იყენებდა მსახურებს. გადსბი მოხერხებულად ხმარობდა მუშტებს და მსახური, რომელიც მისი მორიგი მსხვერპლი ხდებოდა, წყევლიდა იმ დღეს და საათს, როდესაც მას ბატონი თავის მორიგ მეტოქედ ნიშნავდა. გადსბის არ უყვარდა სუსტი მოწინააღმდეგე. ზანგები ჩვეულებრივ პირველი დარტყმისთანავე ეცემოდნენ და ცდილობდნენ თავი ნოკაუტირებულად მოეჩვენებინათ. გადსბი მიხვდა ამ ეშმაკობას და საწინააღმდეგო ზომები მიიღო. როგორც კი „მოწინააღმდეგე" მიიღებდა დარტყმას, გაიშხლართებოდა იატაკზე და თვალებს დახუჭავდა, ბებერი მსახური, რომელიც მსაჯის მოვალეობას ასრულებდა, ბატონის წინაშე ზანგს ბამბუკის ჯოხის ბოლოთი მოუცაცუნებდა ფეხის გულზე. ზანგი ინსტინქტურად ფეხს გაიქნევდა—ნათელი ხდებოდა, რომ ნოკაუტი გათამაშებული იყო.

ვამუკემ არაფერი იცოდა ამის შესახებ.

ერთ დილას, როდესაც ის იმ დიდ დარბაზს ალაგებდა, სადაც საღამოს სტუმრები უნდა მიეღოთ, მოულოდნელად კედელს უკან ყვირილი გაისმა და კარებში გადსბის უზარმაზარი ტანი გამოჩნდა. გადსბის სახე ასწითლებოდა და ვამუკე მიხვდა, რომ ბატონი გუნებაზე არ იყო. გადსბიმ მზისგან გახუნებული წარბები შეჰკრა და მსახურს მიაშტერდა. მას ეცვა რბილი, სპორტული ფეხსაცმელი, მოკლე ტრუსი და დიდი ტყავის ხელთათმანები. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ დილა იყო, გადსბის დათრობა მოესწრო.

— სად არის უმაბა?—დაიღრიალა მან დარბაზში შემოსვლისთანავე.

— მე არ ვიცი,—უპასუხა დაფეთებულმა ვამუკემ.

— ვიღაც შავკანიანის გულისათვის წვრთნა უნდა ჩამეშალოს!—დაიღრიალა გადსბიმ.—ზანგს ნამდვილად შეეშინდა და გაიპარა. თქვენ ყველანი მშიშარები ხართ! რა გქვია შენ?

— ვამუკე...—ზანგმა მოკრძალებით შეხედა ვეებერთელა ბატონს და ფეხი მოინაცვლა.

— მოდი აქ,—ბრძანა როგორღაც უცნაურად მოღიმარმა გადსბიმ.

ვამუკე მივიდა თეთრკანიანთან, ეჭვითაც კი ვერ მიუხვდა განზრახვას. უცებ ტყავის ხელთათმანი ნიკაპში მოხვდა და რამდენიმე ნაბიჯზე უკან დაახევინა ბორძიკით; ძლივს გადარჩა წაქცევას. გადსბიმ გაიცინა.

— მაშ, როგორია დარტყმა? კარგია, ჰა?—მხიარულად იკითხა მან. — ორი წლის წინათ მე შემეძლო შენისთანა კაცისათვის სული ამომეძრო; აბა, წამომყევი.

ვამუკე გაჰყვა ბატონს, მიუხედავად იმისა, რომ გრძნობდა, ამ მიპატიჟებას კარგი არაფერი მოჰყვებოდა.

ისინი გადსბის სასპორტო ოთახში შევიდნენ. ბებერმა მსახურმა ვამუკეს პერანგი გახადა და უზარმაზარი ტყავის ხელთათმანები ჩააცვა. ვიდრე ვამუკეს აცმევდნენ, გადსბი ადგილზე ცქმუტავდა, ხტოდა, კუნთებს ათამაშებდა, ხელებს ამოძრავებდა ისე, როგორც ამას პროფესიონალი მოკრივენი აკეთებენ ბრძოლის წინ. როდესაც ხელთათმანები ჩააცვეს, ბატონმა აუხსნა, რომ მასთან უნდა ეჩხუბნა. ვამუკე დაბნეული იყო; მოწინააღმდეგე ორჯერ დიდი იყო მასზე. მაგრამ ფიქრის დრო აღარ ჰქონდა, ბრძოლისათვის მოემზადა; პირველივე დარტყმამ იგი ნოხზე დასცა; თავბრუ დაეხვია. ბატონი თავზე ადგა და ითვლიდა. ათი თვლის შემდეგ გადსბიმ მოითხოვა,—ზანგი ამდგარიყო და ხელმეორედ დაეწყო ჩხუბი. მეორედაც წააქცია ვამუკე; როდესაც იგი მეოთხედ ადგა ნოხიდან, მხეცურმა გრძნობამ შეიპყრო; ძალა გაუორკეცდა; მას ეზიზღებოდა გადსბის წითელი სახე, ბანჯგვლიანი მკერდი და მთელი მისი უზარმაზარი, ჯანღონით სავსე სხეული. როცა გადსბის კიდევ უნდოდა დაერტყა, ვამუკე ჩაცუცქდა, ეცა გადსბის. მთელი თავისი ძალღონით დაარტყა თავი მუცელში; გადსბიმ ტკივილისაგან დაიღრიალა და მძიმედ დაეცა ნოხზე. ცოტა ხნის შემდეგ იგი წყევლა-კრულვით ადგა და ეტაკა ზანგს. ვამუკე მამაცურად იცავდა თავს; მისი თვალები სიძულვილს ათრთოლებდნენ. იგი გაათთრებით იგერიებოდა გადსბის შეტევას, როცა უკანასკნელმა კუთხეში მიიმწყვდია. ბოლოს, ხელიდან დაუსხლტა და ოთახში სირბილი დაიწყო,—ცდილობდა, თავი აერიდებინა სიტყვასავით მოყრილი მუშტებისათვის.

გადსბი გამოცდილი მოკრივე იყო. ვამუკეს სახე მალე დაიფარა ჩალურჯებული ადგილებითა და სისხლჩაქცევებით. ბოლოს გადსბი დაიღალა; დაჯდა სკამზე, რომელიც ბებერმა მსახურმა მიუდგა, და ჩაიქნია ხელი—გაუშვა ვამუკე. ზანგი წავიდა გასიებული ცხვირით, გადატყაული შუბლითა და ჩასისხლიანებული თვალით.

რაც უფრო მეტს ცხოვრობდა ვამუკე გადსბის სახლში, მით უფრო ძლიერ სძაგდებოდა ბატონი. გადსბი ყველაფერზე შარს სდებდა მას.

## 2

დილით მისტერ გადსბის ნაირობიდან საპატიო სტუმრები ეახლენ. მსახურები ფუსფუსებდნენ, აქეთ-იქით დარბოდნენ. ერთ-ერთი სტუმარი ანაბელას საქმრო იყო.

უფროსმა მსახურმა ვამუკეს პირით შეატყობინა გადსბის, საუზმე მზად არისო. ვამუკე სასტუმრო ოთახში შევიდა და კარებთან შეჩერდა. ანაბელა პრიალა შავ ყუთთან იჯდა, რომლიდანაც მხიარული ხმები იფრქვეოდა. მისი გრძელი და წვრილი თითები სწრაფად დარბოდნენ შავი და თეთრი ძვლის ჯოხებზე. ამ მუსიკამ თავისი რიტმით ვამუკეს მოაგონა ის ცეკვები, რომლებსაც მის კრაალში ასრულებდნენ. მაგრამ ის მოტივი თითქოს უფრო ლამაზი და მხიარული იყო.

თეთრ კოსტიუმში გამოწყობილი ორი ახალგაზრდა კაცი სიგარას ეწეოდა და მისტერ გადსბის ესაუბრებოდა. იქვე მდგომ ვამუკეს ყურადღება არ მიაქციეს.

— თუ მთავრობა მიწას გვაძლევს,—თქვა გადსბიმ და ლირსეულად გადახედა სტუმრებს, — მან უნდა დააწესოს კანონი, რომლის ძალითაც უზრუნველყოფილი ვიქნებით მუშახელით. მე თითქმის ზანგების ნახევარი გამექცა; მართალია, დიდი ნაწილი დაიჭირეს და დააბრუნეს, მაგრამ ეს საქმეს ვერა შველის. ადგილობრივ მცხოვრებლებს ვაიძუ-

ლებდი ემუშავათ ჩვენთან, იმ შემთხვევაში, თუ გამოიცემოდა მათ მიწებზე გადასახადის გადიდების კანონი. მაშინ ისინი თვითონ მოვიდოდნენ და არ დაგვჭირდებოდა მათი გამოჭერა, ან „მოწვევა“.

— ახ, მისტერ გადსბი,—თქვა ერთმა მათგანმა.—ცოდოცაა, რომ თქვენ ჩიოდეთ; თქვენთან, შედარებით, ყველაფერი კარგად მიდის და, აი, ბევრს კი გაცილებით ცუდად აქვს საქმე. ერთი კვირის წინ ვინმე მორტონის საქმეს ვარჩევდი: ამბოხებულმა ზანგებმა სახლი გადაუწვეს და თვითონ ხეზე მიაბეს. ამბობენ ეს მორტონი ცოტა ფიცხი კაცი იყო და ზანგებს სასტიკად ეპყრობოდაო.

— მითხარით, მისტერ უოტსონ, არამზადები დაიჭირეს?— გადსბიმ მუშტები შეკუმშა.

— არა. ყველა საბუთი დაიწვა, ამიტომ ვერ გამოვარკვიეთ ვინ მუშაობდა მასთან. დარწმუნებული ვართ, რომ ეს კომუნისტთა აგიტატორების საქმეა. ამ ომის შემდეგ ზანგები კიდევ უფრო გამომწვევად იქცევიან და თავის მიმართ რაღაც განსაკუთრებულ მოპყრობას მოითხოვენ. გაუგონიათ რევოლუციების შესახებ და მუშებს აჯანყებენ, ამხედრებენ ჩვენს წინააღმდეგ; უამბობენ სხვა სახელმწიფოებზე: ვიეტნამზე, მალაიაზე, ჩინეთზე, და ეტყობა თვითონაც ფიქრობენ, როგორ განდევნონ თავიანთი ბატონები კენიიდან და საერთოდ აფრიკიდანაც. მაგათ ფხიზლად უნდა ვუყუროთ...

— მე ვერ ამიჯანყდებიან!—თქვა გადსბიმ და თვალები აენთო.—მე მაგრად მიჭირავს ისინი...

— შენ აქ რას დგახარ?—დაიღრიალა უცებ მან.

— სადუზმე მზად არის, ბატონო.—თქვა მოღუშულმა ვამუკემ.

— კარგი, გასწი! არა, დაიცადე! მოდი აქ! აი, რა... ეს ორი ჯენტლმენი რამდენიმე დღით მესტუმრა. შენ იქნები მისტერ გარისის მცველი. საკუთარი თავით აგებ პასუხს, გაიგე?! იცოდე, თუ მას ვინმე თავს დაესხა. სიკვდილი არ აგცდება! ხვალ დილით მისტერ გარისი და მისტერ უოტსონი სანადიროდ წავლენ, შენ და კიკუვი თან ეახლებით. ახლა წადი!

3

დილით ვამუკე და კიკუვი დიდხანს იცდიდნენ, სანამ გარისი და უოტსონი ისაუზმებდნენ. როგორც იქნა, მონადირეები გამოვიდნენ და ტყეში გაემგზავრნენ. კიკუვი და ვამუკე შორიახლოს მიჰყვებოდნენ. გადსბიმ მათ იარაღი არ მისცა. მალე ისინი ტყეში შევიდნენ. გრილოდა, სინესტისა და გახრწნილი მცენარეულობის სუნი იდგა. ფეხები ფოთლების სქელსა და რბილ ფენაში ეფლობოდათ. გაბადრული გიგანტური გვიმრა თავით ფეხებამდე ფარავდა მონადირეებს.

მონადირეები დიდხანს დაეხეტებოდნენ ტყეში. დროგამოშვებით გამხმარი ტოტების ლაწალუწი ისმოდა. დამფრთხალი პირუტყვი გარბოდა. ამასობაში, ტყის პირს მიადგნენ და სწორედ აქ მოხდა ის, რასაც ვამუკესა და კიკუვს აგრერიგად ეშინოდათ. უეცრად თეთრების აღელვებული ხმები გაისმა, შემდეგ კი თოფის გრიალი... და სულ ახლოს ლომის გამძვინვარებული ღრიალი შემოესმათ. ბუჩქებში ელვის სისწრაფით გაიქროლა უზარმაზარმა ლომმა. ვამუკემ უოტსონის სასოწარკვეთილი ხმა გაიგონა. თეთრკანიანი კატისებური სისხარტით შეახტა აკაციას და ყველაზე მაღლა გაშვერილ ეკლიან ტოტზე შესკუპდა. დაინახა რა კიკუვმა, რომ უოტსონი საფრთხეს გადარჩა, მოჰკურცხლა. ვამუკეს კი არ შეეძლო გაჰყოლოდა მას.

სულ ახლოს, ხშირ ბუჩქებში ყრუ ღრიალი გაისმა. ვამუკე ელდანაკრავივით შეკრთა და აკანკალებული წაბარბაცდა უკან, მაგრამ თავს ძალა დაატანა; რამდენიმე ფრთხილი ნაბიჯი გადადგა და თავზარდაცემული შეჩერდა: გარისი მიწაზე გაშხლართულიყო, — ფაფარაშლილი ლომი წამოსჯდომოდა ზევიდან.

უცებ ვამუკემ ისტერიული ყვირილი გაიგონა:

— გასწი, გასწი აქედან!.. კშ-შ, კშ-შ!—ყვიროდა უოტსონი მაღლიდან.

ლომი მობრუნდა და ერთი ნახტომით ხეს ეცა.

ვამუკემ სწრაფად შეაფასა მდგომარეობა; გარისის ახლო თოფი უნდა ყოფილიყო. ეკლიანი ბუჩქების გაყოლებით ფრთხილად გაცოცდა გაუნძრევლად გაშხლართული თეთრისკენ. სუნთქვა ეკვროდა. როდესაც გარისამდე რამდენიმე ნაბიჯი დარჩა, ვამუკე წამოხტა ზეზე და თოფს მივარდა. როგორც კი ზანგი დაინახა, მხეცი ბღავილით გაქანდა მისკენ. მაგრამ თოფი უკვე ვამუკეს ეკავა ხელში და სწორედ მაშინ გაისროლა, როდესაც ლომი სულ რამდენიმე ნაბიჯით იყო მისგან დაშორებული. უზარმაზარმა მტაცებელმა მოწყვეტით ჩაიჩოქა და დრუნჩით ბალახებში ჩაეფლო. ვამუკემ აკანკალებული ხელით ისევ მომართა თოფი და ლომთან მივიდა. მხეცი უძრავად ეგდო.

ვამუკემ გარისთან მიირბინა. ის პირქვე იწვა და პირსახე ბალახებში ჩაემალა. გულმოდგინედ დაათვალიერა, ყურადღებით გასინჯა: ნაცრისფერი პერანგი დახეოდა. ზურგი ლომის ბრჭყალებს დაესერა სამი პარალელური ჭრილობით. თავი გასისხლიანებოდა. ზანგმა ფრთხილად გადმოატრიალა თეთრი და ყური გულზე მიადო. გარისი ცოცხალი იყო და ვამუკემ შვებით ამოისუნთქა; მიიხედ-მოიხედა: უოტსონი უშნოდ ჩამოდიოდა ხიდან.

კიკუვიც მოვიდა. ზანგებმა საკაცე გააკეთეს, გარისი ზედ მოათავსეს და სახლისაკენ გაემართნენ.

ორი საათის შემდეგ ისინი ალაყაფის კარებით დიდ პარკში შევიდნენ. სტუმრები და მასპინძლები თავპირისმტვრევით ჩამოცვივდნენ ძირს. გრძნობადაკარგულ გარისს ყველა ერთად შემოეხვია გარს. მოღუშული უოტსონი განზე გადგა. შეშინებული ქალები მოსთქვამდნენ.

— ღმერთო ჩემო, რა დაემართა? მისტერ უოტსონ, როგორ მოხდა?—გაიძახოდა ანაბელა.

— ლომი!..—დაღვრემილად უპასუხა უოტსონმა. ვამუკე მოკრძალებით მიუახლოვდა ქალიშვილს და ჩუმად უთხრა:

— „შენი ნუ სტირი, ბვანა გარისი არ მოკვდები“,—შემდეგ ყურში გაყრილი ჯოხი გაისწორა და მომხდარი ამბის მოყოლა დაიწყო:

— მე თოთი არა!—ამბობდა ის და აქეთ-იქით იყურებოდა, თანაგრძნობას ეძებდა. — ბვანა გარისი დადის ტყეში, მერე ისროდა. ლომი გადმოხტი ბვანა გარისზე. ბვანა გარისი დავარდი“...

უცბად ძლიერმა მუჯლუგუნმა შეაწყვეტინა ლაპარაკი. გამხეცებულმა გადსბიმ ზანგს თმაში სტაცა ხელი, განზე გადაისროლა და მსახურთ მოკლედ უბრძანა:—წაიყვანეთ! ჩასვით სარდაფში!

გადსბი ცოფსა ყრიდა.

— „მე ისროლე!“—დაიყვირა აღშფოთებულმა ვამუკემ და უნდოდა ხელიდან გასხლტომოდა მსახურებს, მაგრამ... როცა ვერაფერი მოახერხა, სავედრები თვალებით უოტსონს შეხედა. — მისგან ელოდა მხარდაჭერას, როგორც იმ ადამიანისაგან, რომელიც ერთადერთი მოწმე იყო მისი გმირული საქციელისა მაგრამ ინგლისელი ჩლუნგი და უნამუსო თვალებით სხვაგან იყურებოდა, თავი ისე ეჭირა თითქოს ვერც ამჩნევდა, რა ხდებოდა მის გარშემო.

— დაანებეთ თავი! ზანგს მაინც არაფერი ესმის შიშისაგან, — თქვა უცბად გამხიარულებულმა უოტსონმა,—მისტერ გადსბი, თქვენ, როგორც ჩანს, მკაცრი ბატონი ბრძანე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბულხართ. — გაიძვერა ინგლისელს რაღაცამ გაუელვა თავში... ალბათ, ვამუკეს გმირობის მითვისება განიზრახა.

ვამუკემ ჩაბუთულ და ნესტიან სარდაფში ამოჰყო თავი. ვიწრო ჭუჭრუტანიდან მან დაინახა, როგორ გატაცებითა და ხელების გაცხოველებული ქნევით ჰყვებოდა რაღაცას უოტსონი, შემდეგ კი აბარელამ როგორ ჩამოართვა ხელი და დიდხანს ათვალიერებდა მის მარჯვენას. უოტსონი სიხარულით იღიმებოდა.

ვამუკე ორი დღე იჯდა ბნელ სარდაფში — მშიერი და მწყურვალი. მესამე დღეს მოვიდნენ მსახურები და გამოუცხადეს, რომ გადსბიმ მას თხუთმეტი ჯოხის დარტყმა მიუსაჯა. იგი იმავე დღეს დასაჯეს გადსბის თანდასწრებით და კიკუვისთან ერთად გაგზავნა ქვების საზიდად.

ვამუკე დიდხანს ზიდავდა ქვებს. მასთან ერთად მომუშავე კიკუვმა ვერ გაუძლო მძიმე რეჟიმს და გაიქცა. დიდხანს არაფერი ისმოდა მის შესახებ, შემდეგ კი იგი ნაცემი და გამხდარი ჩამოიყვანეს.

ღამე ვამუკემ მოისმინა კიკუვის მოგზაურობის ამბავი. იგი მოუყვა ვამუკეს დიდი მლაშე წყლის — ინდოეთის ოკეანის, უზარმაზარი კრაალის — მომბასის და დიდი ნავების შესახებ. იქ კიკუვმა სამუშაო იშოვა. იგი სხვა ზანგებთან ერთად ტვირთავდა მზუნგუს ნავებს. მაგრამ მოვიდა ორი ახალგაზრდა და აუხსნა მტვირთავებს, რომ თეთრებს უნდათ დიდი ნავები კუნძულ იავაზე გაგზავნონ, სადაც ხალხი თავიანთი თეთრი ბატონების წინააღმდეგ იბრძვის. მათ უნდათ, დაეხმარონ კუნძულ იავაზე მცხოვრებ თეთრებს იქაური მცხოვრებლების მოკვლაში. ეს ორი ახალგაზრდა ყველა მუშას თხოვდა, — არ დაეტვირთათ დიდი ნავები და ამით ხელი შეეშალათ თეთრებისათვის იავის ხალხის დახოცვაში, რომელიც თავისუფლებისათვის იბრძვის. კიკუვმა გაიხსენა გადსბი, კიდევ მრავალი სხვა მზუნგუ და, მიუხედავად იმისა, რომ მშიერი, უფულო და უსახლკარო იყო, სამუშაოს თავი დაანება.

ვამუკე განაბული უგდებდა ყურს.

შემდეგ კიკუვი თეთრებმა დაიჭირეს და წაიყვანეს ნაირობში, სადაც იგი მოსამართლის წინაშე წარსდგა. მოსამართლე კეთილი მოხუცი იყო. მან ლმობიერად ჰკითხა, უნდა თუ არა მას—კიკუვის მისტერ გადსბისთან მუშაობა. კიკუვიმ, რასაკვირველია უპასუხა „არა“. მაშინ მოსამართლემ თქვა, რომ კიკუვი თავისუფალია, მას შეუძლია წავიდეს, სადაც უნდა. მაგრამ აქ ჩაერია მუშახელის შემგროვებელი მისტერ ლოუ. მან აჩვენა მოსამართლეს სქელი წიგნი, რომელშიაც კიკუვის ოდესღაც მრუდე ჯვარი დაუსვამს. მისტერ ლოუმ უთხრა მოსამართლეს, რომ კიკუვმა აიღო ვალდებულება, ემუშავნა სამი წლის განმავლობაში, მაგრამ დაარღვია პირობა და გაიქცა, რითაც მისტერ გადსბის დიდი ზარალი მიაყენა. თუ კიკუვის არ უნდა სამუშაოზე დაბრუნება, მაშინ უნდა გადაუხადოს მისტერ გადსბის იმ ზარალის საზღაური.

კიკუვს ყველაფერი არ გაუგია, რაც სასამართლოზე ითქვა. ბოლოს მოსამართლემ განუცხადა, რომ მას შეუძლია წავიდეს, სადაც უნდა, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ გადაუხდის მისტერ გადსბის საჭირო თანხას. კიკუვს არ შეეძლო ასი გირვანქის* გადახდა, ამიტომ მისტერ ლოუმ დააბრუნა იგი აქ—ქვის სამტვრევად.

კიკუვის დაბრუნებიდან ორი დღის შემდეგ ვამუკემ მის მიერ გადარჩენილი გარისი დაინახა. თეთრი სულ გამოჯანსაღებულიყო. ზედამხედველი არ ჩანდა და ვამუკე ცხენოსანს მივარდა.

— ბვანა... — ჩუმად წარმოთქვა ვამუკემ.

გარისმა დაბნეულად შეხედა ვამუკეს და ვერ იცნო იგი. იგი ვერ არჩევდა ზანგებს ერთმანეთისაგან.

ვამუკე თავისი არეული სიტყვებით დიდხანს უხსნიდა გარისს იმ საშიში მდგომარეობის შესახებ, რომლიდანაც იგი ვამუკეს მიერ იქნა დახსნილი. ბოლოს გარისმა გაიგო, რისი თქმაც სურდა ვამუკეს.

— ბვანა გარისი, თხოვე ბვანა გადსბი, გამიშვი ჩემი სახლში...—თქვა ვამუკემ და მორცხვად დახარა თავი.

გარისს შეეცოდა ზანგი, მაგრამ იფიქრა, რომ უოტსონი მისი უფროსია და არ იქნებოდა კმაყოფილი, თუ გარისი მოუყვებოდა გადსბის ამ ამბავს. ამით ხომ უოტსონის ტრაბახი და სიცრუე გამომჟღავნდებოდა. მან ამოიოხრა, ჯიბეები მოისინჯა, საფულედან გირვანქიანი ქაღალდი ამოიღო და ვამუკეს გაუწოდა. ზანგმა უარის ნიშნად თავი გაიქნია და ვედრებით გაიმეორა:

— ბვანა გარისი, თხოვე ბვანა გადსბი, გამიშვი ჩემი სახლში...

ამ დროს მოსახვევიდან ცხენოსნების ჯგუფი გამოჩნდა და შარაგზა კორიანტელში გაეხვია. გარისს არ უნდოდა, რომ უოტსონს დაენახა იგი ვამუკესთან ლაპარაკის დროს,—არაფერი არ უპასუხა ზანგს, ცხენს მათრახი უჭირა და გააჭენა.

* გირვანქა—ფულის საზომი ერთეული.

ვამუკე დიდხანს უყურებდა განშორებულ გარისს. იგი მთელი დღის განმავლობაში ამ შეხვედრის შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფებოდა. არავითარი იმედი აღარ იყო.

ამ დღეს ზედამხედველი განსაკუთრებით მხეცობდა და ყველაზე მეტად მოხვდა ვამუკეს, რომელიც აღელვებული იყო გარისთან შეხვედრით და ბრძანებებზე მკვახედ პასუხობდა. ზედამხედველი გაბრაზებული იყო. მისტერ გადსბი დღეს „კარგად გაუმასპინძლდა" მას იმისათვის, რომ ქვის მტეხავმა მუშებმა დროზე არ მიაწოდეს ქვა გზის მშენებლობას.

როცა მოსაღამოვდა, ჩვეულებრივის საწინააღმდეგოდ, არც ერთი მუშა არ წასულა დასაძინებლად. ისინი ჯგუფებად იკრიბებოდნენ და რაღაცას ბჭობდნენ, საიდუმლოდ ჩურჩულებდნენ.

ღამე მვანა ვამუკე კიკუვმა გააღვიძა. თავი აწია თუ არა, თავის კარავთან უხმოდ მდგომი უამრავი ადამიანის ჩრდილს შეავლო თვალი.

— ჩვენ ზედამხედველის კვალს უნდა მივყვეთ. წამოხვალ ჩვენთან?—ჰკითხა კიკუვმა და მისი ხმის კილოზე ვამუკე მიხვდა, რას მოასწავებდა ყოველივე ეს.

იგი ჩუმად ადგა და კარავიდან გავიდა. ყველა ერთად დაიძრა ღამის წყვდიადში. რამდენიმე კაცი უხმაუროდ შევიდა იმ ბარაკში, სადაც ზედამხედველი ცხოვრობდა. ორიოდე წუთის შემდეგ ისინი დაბრუნდნენ და დანარჩენებს შეატყობინეს, რომ ზედამხედველი გაქცეულიყო.

ხალხი ახმაურდა.

— წავიდეთ გადსბისთან!—გაშმაგებით დაიყვირა კიკუვმა; ღელვისაგან ხმაც კი ჩაუწყდა.—ის აცემინებს ჩვენს თავს, ის არ გვიშვებს სახლში!

ვამუკემ იგრძნო, რომ საერთო აღგზნება მასაც გადაედო.

როდესაც ისინი გადსბის პარკს უახლოვდებოდნენ, ვამუკემ უკვე მტკიცედ იცოდა, რომ ამაღამ მისი ბედი შეიცვლებოდა. ამას თავისი ამხანაგების დაღვრემილ, მტკიცე გამომეტყველების გამომხატველ სახეებზე და მრისხანე თვალებში კითხულობდა.

არავინ არღვევდა დუმილს და ამ სიჩუმეში იგრძნობოდა რაღაც მრისხანება და ზეიმი. ვამუკე ერთერთი პირველთაგანი შევიდა პარკის ალაყაფში. უეცრად გადსბის სახლიდან ალი ავარდა; რამდენიმე კაცმა გაუსწრო წინ მიზღვავებულ ხალხს, გადააგდო ფანჯარაში ერთი კონა ანთებული ფიჩხი და სახლი ცეცხლს მისცა.

უცებ სადარბაზო კარი გაიღო და გადსბი გამოვარდა. იგი შეშლილს ჰგავდა, სახე მოღრეცოდა და თვალებს არეულად აბრიალებდა. ერთი ხელით განძეულის კოლოფი მიეკრა მკერდთან, ხოლო მეორეში რევოლვერი ეჭირა.

ბატონის დანახვისთანავე ვამუკემ ნათლად იგრძნო, როგორ მოედო მის გულს სიძულვილის ტალღა. როდესაც გადსბიმ ხალხს რევოლვერი მიუშვირა და დაიღრიალა: „დაიშალენით!"—პირველ რიგში მდგომთ უკან დაიხიეს, ვამუკე კი არც განძრეულა.

გადსბიმ გაისროლა. ვამუკემ ხელზე ხელი იტაცა და მწარედ ამოიკვნესა.

ჰაერში ქვამ დაისტვინა და თეთრს მკერდში მოხვდა. გადსბიმ ხელმეორედ ისროლა და ბუჩქნარისაკენ გაიქცა. ის სწრაფად მირბოდა, ამიტომ მუშებსა და მას შორის მანძილი უცბად დიდდებოდა; მაგრამ ბუჩქებთან იგი წაბორძიკდა და განძეულის კოლოფი დაუვარდა. ის მკვეთრად მოტრიალდა, სტაცა ხელი კოლოფს... მაგრამ ძვირფასი წამები დაკარგული იყო.

როდესაც გადსბი გასწორდა, სიძულვილით დამანჭული ვამუკეს სახე დაინახა. იმავე წამს ხალხი დაესხა თავს და ძირს დასცა იგი. გადსბიმ იგრძნო, როგორ ჩაებღაუჭა მუშაობისაგან გახევებული უამრავი ხელი, აიტაცა მიწიდან და გადააგდო სადღაც, უძირო, ბნელ უფსკრულში... მისი სხეული ალმოდებულ სახლში შეაგდეს.

თენდებოდა, როდესაც კიკუვი და ვამუკე ქალაქისკენ მიდიოდნენ. ვამუკეს ხელი ჩვრით ჰქონდა შეხვეული და ოდნავ კოჭლობდა.

მზის ამოსვლისას ვამუკემ უკანასკნელად გაიხედა გადსბის სახლისაკენ. ჯერ კიდევ მოჩანდა კვამლი.

თარგმნა **მანანა ქავთარაძემ**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ტექნიკური წრეები და მათი დაარსების ორგანიზაცია სკოლაში

სკოლების პოლიტექნიკურ სწავლებაზე გადასვლის განხორციელებისათვის, რაც საბჭოთა კავშირის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის მე-19 ყრილობის რეზოლუციაში ხაზგასმით არის აღნიშნული, მოსწავლეთა შორის კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობას განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა.

საბჭოთა სკოლაში მოსწავლე ეცნობა ტექნიკის ყოვლისშემძლე, გარდამქმნელ ძალას და იმას, თუ რამდენად უძლეველია ტექნიკას დაუფლებული ადამიანი, რომელიც არა მარტო ბატონობს ბუნებაზე, არამედ თავისი მოთხოვნილებისამებრ მიზნობრივი ცვლილებები შეაქვს მასში.

მოსწავლეებში ტექნიკისადმი ინტერესის აღძვრა, ბავშვთა ტექნიკური შემოქმედებისათვის ხელის შეწყობა—სკოლის საერთო მუშაობის ნაწილია. ელემენტარული ტექნიკური ჩვევები საჭიროა ყოველი ადამიანისათვის; ამიტომ მოსწავლეთა მომავალი პრაქტიკული მუშაობისათვის მოსამზადებლად თვით სკოლაში უნდა მიმდინარეობდეს კლასგარეშე წრეობრივი მუშაობა. სკოლის ადმინისტრაცია და უფროსი პიონერხელმძღვანელი უნდა ზრუნავდნენ აგრეთვე ჩააბან მოსწავლეები სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებებთან არსებულ ტექნიკურ წრეებში.

რა და რა წრის ჩამოყალიბება შეიძლება სკოლასთან?

რეკომენდირებულია სკოლებთან ჩამოყალიბდეს: ფიზიკის, ქიმიის, ნორჩ ელექტროტექნიკოსთა, რადიომოყვარულთა, ავიამოდელისტთა, ფოტომოყვარულთა, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შემსწავლელთა, ხელმარჯვეთა და სხვა წრეები.

წრის შექმნა იმ შემთხვევაში უნდა დავიწყოთ, თუ ხელმძღვანელი დარწმუნებულია, რომ მუშაობა არ ჩაიშლება. თუ წრე ჩამოყალიბების შემდეგ პირველი სიძნელისთანავე დაირღვა, ეს დასცემს როგორც წრის ხელმძღვანელის ავტორიტეტს, ისე ტექნიკისადმი მოსწავლეთა ინტერესს.

წრეების ჩამოყალიბება ყოველთვის შეიძლება, მაგრამ უკეთესია, სასწავლო წლის დასაწყისისათვის ჩამოვაყალიბოთ. ამ შემთხვევაში წრე იოლად მოასწრებს სასწავლო წლის დასრულებამდე პროგრამის სრულად გავლას.

უფრო მეტ წარმატებას აღწევს ისეთი წრე, სადაც მოსწავლეთა გაერთიანება ხდება ერთი კლასის, ანდა მიახლოებით თანაბარი ცოდნის მქონე მოსწავლეთაგან. წრის წევრთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 15 მოსწავლეს, წრეში მეცადინეობა უნდა ტარდებოდეს კვირაში ორჯერ ორ-ორი აკადემიური საათის ხანგრძლივობით. საზამთრო და საგაზაფხულო არდადეგების დროს წრის მეცადინეობა სამი აკადემიური საათით უნდა განისაზღვროს, ხოლო ყოველი მეოთხედის დამთავრების წინა ხანებში უმჯობესია მეცადინეობა კვირაში ერთხელ ჩატარდეს, პირველი მაისიდან გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების დასრულებამდე, სასურველია, წრის მუშაობა შეწყდეს.

წრის ჩამოყალიბება ისე არ შეიძლება თუ წინასწარ არ გამოიძებნა სათანადო ადგილი, სადაც წრემ უნდა იმუშაოს. თუ სკოლას ნორჩ ტექნიკოსთა წრეებისათვის სპეციალური ოთახის გამოყოფის საშუალება არა აქვს, ნორჩ ელექტროტექნიკოსთა და რადიომოყვარულთა წრეებს შეუძლიათ იმუშაონ ფიზიკის კაბინეტში, ნორჩ ქიმიკოსთა წრეს—ქიმიის კაბინეტში, ნორჩ ავიამოდელისტებს—პიონერთა ოთახში. სპეციალური ოთახი მხოლოდ ფოტომოყვარულთა წრეს დასჭირდება, რომლისათვისაც მცირე ფართობი სკოლაში ადვილი გამოსაძებნია. შეიძლება წრის მუშაობისათვის შენობა გამოინახოს სკოლის გარეთაც; ახლომდებარე კლუბში, დაწესებულებათა წითელ კუთხეებში, საზოგადოებრივ შენობებში.

მეორე დაბრკოლებას წრის ხელმძღვანელი შეიძლება წააწყდეს ხელსაწყო-იარაღებისა და საჭირო—მასალის მოპოებაში. წრეებისათვის ბევრი ინვენტარი არაა საჭირო. წრეს დასჭირდება ერთი-ორი გრძელი მაგიდა და იმდენი დგამი, რამდენი წრის წევრიც არის. მაგიდაზე უნდა მოეწყოს პარალელური გირაგი,—სასურველია რამდენიმე.

იარაღებითა და ხელსაწყოებით წრის დაკომპლექტება დამოკიდებულია მატერიალურ შესაძლებლობაზე, მაგრამ, როგორც მინიმუმი, მას ერთი კომპლექტი ხელსაწყოებისა მაინც უნდა ჰქონდეს.

ხელსაწყოების კომპლექტში შედის: ქლიბი—სხვადასხვა ზომისა და ფორმის, ბურღები, ბორმანქანა, ხერხი—ხელისა და გაბმული, ჩაქუჩი, ჭოპოსანი, სარჩილავი, სპირტქურა და სხვ. რაც შეეხება მასალას, ძირითადად აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა ხდება მას შემდეგ, როცა გამოირკვევა თუ რა აქვს მიზნად დასახული ამა თუ იმ წრეს. წრეებში უფრო ხშირად იხმარება ნარჩენები თუნუქის, ფირფიცრის, ძელაკების, მუყაოსი, სახვევი მავთულებისა და სხვ.

თუ ვინიცობაა ამ მხრივ წრე დაბრკოლებას წააწყდა, დიდი დახმარების გაწევა შეუძლია შეფ წარმოება-დაწესებულებებს. მოწინავე სკოლების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამ დაბრკოლების დაძლევა ყოველთვის შეიძლება.

განვიხილოთ ზოგიერთი წრე:

1. ხელმარჯვეთა წრე. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მე-7 პლენუმის დადგენილებაში ხელმარჯვეთა წრეების ჩამოყალიბება ხაზგასმით არის აღნიშნული. ეს წრე რეკომენდირებულია მე-3 მე-5 კლასების მოსწავლეთათვის. იგი ძალიან საინტერესო და სასარგებლო აღმოჩნდა. მისი ჩამოყალიბება მიზანშეწონილია იმ მხრივაც, რომ მუშაობის პროცესში იგი მატერიალურ ბაზას არ მოითხოვს. მისი ხელმძღვანელობა ყველა პიონერხელმძღვანელსა და მასწავლებელს შეუძლია, ამიტომ ასეთი წრეები ყველა სკოლასთან უნდა ჩამოყალიბდეს.

2. ავიამოდელისტთა წრეშიც მე-3 მე-5 კლასის მოსწავლეები ერთიანდებიან. ამ წრის მიზანია მოსწავლეებს მისცეს დაწყებითი ცოდნა ავიაციისა და აერონაოსნობის დარგში, უმარტივესი მფრინავი მოდელების დამოუკიდებლად დამზადების გზით.

3. ელექტროტექნიკოსთა წრეში ებმებიან მე-5 მე-8 კლასის მოსწავლეები. ამ წრის მიზანია მოსწავლეებს მისცეს დაწყებითი ცოდნა ელექტროტექნიკის საფუძვლებისა და ელექტროსამონტა-

ქო სამუშაოების დარგში. წრეში მუშაობისას მოსწავლეებმა უნდა განიმტკიცონ და გაიღრმავონ ცოდნა ფიზიკაში (ელექტრობის განყოფილება), ისწავლონ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. იმ მოსწავლეებს, რომლებიც არ იცნობენ ელექტრობას, საუბრის დროს ხელმძღვანელი აძლევს ცნობებს იმ მოცულობით, რაც აუცილებლადაა საჭირო პრაქტიკული მუშაობისათვის.

4. ფოტოგრაფიის შემსწავლელი წრის შემადგენლობაში არიან მე-4 მე-6 კლასის მოსწავლეები. წრის მიზანია გააცნოს მოსწავლეებს ფოტოგრაფიის ელემენტარული საფუძვლები, მისი როლი მეცნიერებასა და ტექნიკაში, ქვეყნის საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრებაში. ამ წრის მოსწავლეები ეცნობიან ფოტოაპარატის მოწყობილობას, მის ცალკეულ ნაწილებს. სწავლობენ სურათის-გამოვლინებას, ბეჭდვას და სხვა სამუშაოების შესრულებას.

5. რადიომოყვარულთა წრის ამოცანას შეადგენს რადიოტექნიკის საფუძვლებისა და რადიოს გამოგონების ისტორიის გაცნობა, რადიოაპარატურის კონსტრუირების ჩვევების გამომუშავება. რადიოწრე ყალიბდება დამწყებთათვის, ე. ი. ნორჩ რადიომოყვარულთა და დეტექტორულ მიმღების ამწყობთა წრეების სახით.

პირველი სახის რადიოწრის პროგრამა გათვალისწინებულია წრის ისეთი შემადგენლობისათვის, რომელიც უკვე იცნობს ელემენტარულ ელექტროტექნიკას. მეორე სახის რადიოწრის პროგრამა გათვალისწინებულია ისეთი შემადგენლობისათვის, რომელიც სრულებით არ იცნობს ელექტროტექნიკას (რიგ შემთხვევაში, საერთოდ ფიზიკასაც), ამიტომ წრის ხელმძღვანელმა მოსწავლეებს უნდა მიაწოდოს აუცილებელი თეორიული ცნობები ელექტრო და რადიოტექნიკის დარგიდან.

6. სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შემსწავლელი წრე მეტ წილად სოფლის სკოლებში არსდება. იგი უკავშირდება კოლმეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს. წრის მიზანია სასოფლო-სამეურნეო მანქანების ნაწილების და აგრეგატის შესწავლა, მანქანის დაშლა, აწყობა, მართვა. ამ მიზნით, წრე ხშირად აწყობს ექსკურსიებს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ეს წრე ნათელ წარმოდგენას აძლევს მოსწავლეებს მანქანაზე, რითაც იღრმავებენ სკოლაში მიღებულ ცოდნას.

* * *

ჩვენს მიერ ჩამოთვლილი წრეების ხელმძღვანელობა შეუძლია პიონერხელმძღვანელებს, მასწავლებლებს, აგრეთვე მშობლებს, რომელთაც აქვთ შრომითი ჩვევები, უყვართ ბავშვებთან მუშაობა და ყურადღებით არიან მათ მიმართ.

წრეები მუშაობას აწარმოებენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ტიპიური პროგრამების მიხედვით, რომლის თითოეული ეგზემპლარი ყველა სკოლის ბიბლიოთეკაშია.

წრეების სხვადასხვა სახე მოკლედ განვიხილეთ, ეს დაახლობითი ჩამოთვლაა იმ წრეებისა, რომლის ჩამოყალიბებაც სასურველია. სკოლაში შეიძლება აგრეთვე სხვა ტიპის წრეების ჩამოყალიბებაც.

წრეების მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, როგორც ზეპირი, ისე წერილობითი კონსულტაციის მიღება შეიძლება მახლობელ სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებში, ან უშუალოდ ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურში. მისამართი: ქ. თბილისი, პლეხანოვის პრ. 182.

**გ. ეპიტაშვილი**
ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური
სადგურის დირექტორი

ნაზი კილასონია

## ბალადა პიონერზე

თან დამდევს, განა დამშორდა
ის გაზაფხულის ქარი.
ჩემი ნათელი ბავშვობა,
მშობელი სკოლის კარი.

შრიალა, თეთრი ალვები
გზაში ჩამდგარნი მიჯრით,
ნაპერწკლიანი თვალები
და თმაქოჩორა ბიჭი.

ყველაზე უფრო ყოჩაღი
სკოლის გარეთ და შიგნით,
როგორ ჰბაძავდა კორჩაგინს,
როგორ უყვარდა წიგნი!..

კომიტეტშიც და გზაზედაც
ყოველ ცისმარე დილას,
საშველს რომ აღარ მაძლევდა
კომკავშირელთა მდივანს.

თვალებში ედგა მნათობი,
ცეცხლი ეკიდა სახეს
და ანთებული ნატრობდა
კომკავშირელის სახელს.

დავა რჩებოდა დავადვე,
არ გვიჯერებდა „დიდებს“:
— წესდებას შენთვის დავარღვევთ?
ჯერ გაიზარდე კიდევ!

ის კვლავ ჯიუტად დაგვდევდა
კრებაზე, სახლში, გზაზე,
და პიონერთა ოთახში
კვლავ გვიხატავდა გაზეთს.

როცა მაისის დროშებმა
ზეცა აანთეს მშვიდი,
ასრულდა მისი ოცნება —
მისი ოცნება დიდი.

სულში ნათელი მზე იდგა,
გარეთ — ყვავილთა თოვლი;
ის კომკავშირის ზეიმზე
გამოგვყვა როგორც ტოლი...

მას შემდეგ წლები მიჰქრიან
ბრძოლით, სიმღერით, გზნებით.
მან ვრცელი ზღვები ირჩია
და მეზღვაურის გზები.

ცისფერ ტალღებზე მიცურავს
და დიდებაზე მღერის
ჩვენი პატარა ბიჭუნა,
ჩვენი მარჯვენა ხელი.

# რა ვიკითხოთ

## იულიუს ფუჩიკის რჩეული ნაწერები ქართულად

ჩეხი ხალხის საუკეთესო შვილის იულიუს ფუჩიკის სახელი მთელ მსოფლიოში კარგადაა ცნობილი. ფუჩიკი ჩეხი ხალხის ეროვნული გმირია, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე სამშობლოს თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლას შესწირა.

ი. ფუჩიკი მწერალი—ჟურნალისტი იყო. მან ორჯერ იმოგზაურა საბჭოთა კავშირში და აღფრთოვანებული დარჩა ჩვენი ქვეყნის გრანდიოზული მიღწევებით. საბჭოთა კავშირში მიღებული შთაბეჭდილებები მან დიდი ოსტატობით აღბეჭდა წიგნში—„ქვეყანა, სადაც ჩვენი ხვალინდელი დღე უკვე გუშინდელი დღეა“. ამ სათაურიდანვე ჩანს, რომ მწერალი თავისი ქვეყნის ბედნიერ მომავალს დიდ საბჭოთა კავშირთან მეგობრულ დამოკიდებულებაში, სოციალიზმის გზით სვლაში ხედავდა.

როცა ჩეხოსლოვაკია გერმანელმა ფაშისტებმა დაიპყრეს და ააწიოკეს, ფუჩიკი იატაკქვეშა მუშაობის ერთ-ერთი ორგანიზატორი გახდა, იგი ხელმძღვანელობდა არალეგალურ ბოლშევიკურ პრესას, პუბლიცისტური სიმახვილით სავსე მისი სიტყვები ამხნევებდა ხალხს, უნერ-




გავდა მას ბრძოლის წყურვილს და გამარჯვების რწმენას.

ფაშისტებმა მოახერხეს ხელში ჩაეგდოთ იულიუს ფუჩიკი. მათ იგი საპატიმროში დიდხანს აწამეს და ბოლოს სიკვდილით დასაჯეს. მაგრამ ფაშისტებმა ვერ შესძლეს გაეტეხათ კომუნისტი მწერალი, შეეცვალათ მისი რწმენა. ფუჩიკს ღრმად სწამდა თავისი ხალხის ბედნიერი მომავალი. საპატიმროს მძიმე პირობებში მან დაწერა შესანიშნავი ნაწარმოები „რეპორტაჟი სახრჩობელადან“, რომელმაც საქვეყნოდ გაუთქვა მწერალს სახელი. ეს ნაწარმოები თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე, მათ შორის ქართულადაც. თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის ახალგაზრდა მსახიობებმა ამ წიგნის მიხედვით სპექტაკლიც შექმნეს („ადამიანებო, იყავით ფხიზლად“!).

ამ ცოტა ხნის წინათ ქართულ ენაზე გამოიცა იულიუს ფუჩიკის რჩეული ნაწერები. მასში შეტანილია „რეპორტაჟი სახრჩობელადან“ და მგზნებარე პუბლიცისტური წერილები, რომლებიც მრავალმხრივ იპყრობენ ყურადღებას („გმირებისა და გმირობის შესახებ“, „ოდეკოლონის შუშა“, „ლენინგრადის გაზაფხული“ და სხვ.).

ქართველი მკითხველი ახალგაზრდობა ღრმა ინტერესით გაეცნობა ამ წიგნს, რომელიც სამშობლოს სიყვარულის უწმინდესი გრძნობითაა გამთბარი და მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს.

ზურაბ ჭუმბურიძე

## შანდორ პეტეფი—„იანოშ რაინდი“

შანდორ პეტეფი ეკუთვნის იმ ადამიანთა რიცხვს, რომელთა ხვედრი—უკვდავებაა. უნგრული პოეზიის ცაზე ასი წელია ბრწყინავს მისი სახელი.

მთელი მისი სიცოცხლე ლეგენდაა, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი კაცისა. 26 წლის ჭაბუკი ავსტრიელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში ხიშტით გულგანგმირული დაეცა; დაეცა რათა ასი წლის შემდეგ თავის მშობელ ერთან ერთად მკვდრეთით აღმდგარიყო.

ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე მან შედევრები შექმნა. ათასამდე ლექსი, მრავალი პოემა, პიესა შესძინა თავისი ერის კულტურას. მისი ნაწარმოებები მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი. მისი ნიჭისა და ტალანტის ნაყოფს მრავალი მებრძოლისათვის ჩაუდგამს ვაჟკაცური სული.

საქართველოში პეტეფის საუკეთესო მთარგმნელი და პოპულარიზატორი გრიგოლ აბაშიძეა. ლექსების კრებულის შემდეგ, მან თარგმნა დიდი პოეტის საბავშვო პოემა „იანოშ რაინდი“, რომელიც „საბლიტგამმა“ ცალკე წიგნად გამოსცა ახლახან.




პოემის სუჟეტი ხალხური ზღაპრებიდან იღებს სათავეს. მისი იდეა ბოროტზე კეთილის გამარჯვებაა. ნათელი და უხვი ფერებით, ეროვნული კოლორიტით და მდიდარი პოეტური სახეებით იგი სამართლიანად საპატიო ადგილს იჭერს კლასიკურ საბავშვო ნაწარმოებთა შორის.

ჩვენი ახალგაზრდა მეგობრები, მზიური საბჭოთა ქვეყნის შვილები ინტერესით წაიკითხავენ „იანოშ რაინდს“. გაიგებენ, როგორ ცხოვრობდა ობოლი მწყემსი იანჩი, როგორ აწვალებდა ავი დედინაცვალი საბრალო ილუშკას; როგორი მამაცი, სამშობლოს და მეგობრების მოყვარული იყო პოემის გმირი; რამდენი რამ გადახდა თავს, რამდენი ქვეყანა მოვლო, რამდენი სიცოცხლე იხსნა და რამდენი სიკეთე დათესა.

შანდორ პეტეფის „იანოშ რაინდი“, რომელიც მშვენივრადაა დასურათებული მხატვარ ა. ბანძელაძის მიერ, კარგი საჩუქარია ნორჩ მკითხველთათვის.

ნოდარ ჩხეიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოკლედ ყველაფერზე



## დახრილი კოშკი

მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი პიზა (იტალია) საქვეყნოდაა ცნობილი არქიტექტურის უძველესი ძეგლებით.

პიზაში არის ცნობილი დახრილი კოშკი (12—14 სს). მისი მშენებლობა 1174 წელს დაიწყო და ორი საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა. როდესაც კოშკის მშენებლობა მესამე სართულამდე მიიყვანეს, სუსტმა თიხნარმა ნიადაგმა ვერ გაუძლო უზარმაზარ სიმძიმეს და კოშკმა გვერდზე გადახრა დაიწყო. მიუხედავად ამისა, მისი აგება მაინც გაგრძელდა და 1350 წელს დამთავრდა. კოშკის სიმაღლე 54,5 მეტრს უდრის, გარშემორტყმულია მარმარილოს კოლონადით და იშვიათ არქიტექტურულ ნაგებობას წარმოადგენს.

ძლიერ ნელა, თითქმის შეუმჩნევლად, მაგრამ პიზის კოშკი მაინც განაგრძობდა გვერდზე გადახრას. ბოლოს მდგომარეობა ისე სახიფათო გახდა, რომ 1934 წელს კოშკიდან ჩამოხსნეს ზარების ნაწილი და წონასწორობის დასამყარებლად საფუძველში ათას ტონამდე ცემენტი ჩააგეს.

1944 წელს ამერიკელების მიერ კოშკის ახლოს ჩამოგდებულმა სამმა ყუმბარამ ისევ დაარღვია მისი წონასწორობა. მას შემდეგ, ინჟინრების გამოთვლით, კოშკი წელიწადში ერთი მილიმეტრით იხრება, და თუ ზომები არ იქნა მიღებული, ადრე თუ გვიან დაინგრევა.

იტალიის მთავრობა ამაზე ნაკლებად სწუხს. ის სხვა, «უფრო სერიოზული საქმეებით» არის დაკავებული; კულტურულ-ისტორიულ ძეგლებზე მზრუნველობა და მათი მოვლა უმნიშვნელო რამედ მიაჩნია.

## შაქარი

შაქრის დამზადება ადამიანმა უხსოვარი დროიდან ისწავლა. იგი ლერწმის ღეროს დაჩეჩქვავდა და წვენს გამოწურავდა. შემდეგ ამ წვენს გასქელებამდე ადუღებდა, რომელშიც გაციების შემდეგ შაქრის კრისტალები გამოიყოფოდა.

ორასი წლის წინათ (1747 წ.) შაქარი აღმოჩენილი იქნა ჭარხალშიც. ადამიანმა შაქრის მიღება ახლა ჭარხლიდან დაიწყო, და ეს მით უფრო ხელსაყრელი იყო, რომ ჭარხალი კარგად ეგუებოდა ჩრდილოეთის ჰავას, შაქრის ლერწამი კი ცხელი ქვეყნების შვილია.

ჭარხლიდან შაქრის დამზადება რუსეთმა სხვა ქვეყნებზე ადრე ისწავლა. ინგლისმა და ამერიკამ ასეთი ქარხნები რუსეთზე ასი წლით გვიან ააგეს.

საბჭოთა ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევს შაქრის წარმოებას. სტალინური ხუთწლედების მანძილზე აშენდა ბევრი ახალი ქარხანა, გაიზარდა შაქრის ჭარხლის სათესი ფართობი, ამაღლდა ჭარხლის მოსავლიანობა, მომზადდნენ მაღალკვალიფიციური კადრები და გაუმჯობესდა შაქრის წარმოების წესი. 1935 წელს საბჭოთა კავშირმა შესძლო 23,4 მილიონი ცენტნერი შაქრის გამოშვება და პირველი ადგილი დაიკავა მთელ მსოფლიოში.

მას შემდეგ ჩვენში ყველაზე მეტი და ყველაზე მაღალხარისხოვანი შაქარი მზადდება.

## ჰელიოშემდუღებელი

მზის „ათინათი", ბევრად პატარა იმაზე, რომლითაც ბავშვები ერთობიან სარკის ნატეხის საშუალებით, ნელა მოძრაობს ერთიმეორეზე მჭიდროდ მიდგმულ ფოლადის ზოლების პირაპირზე. ნათლად ჩანს, ლითონი როგორ დნება და ფოლადის ზოლები როგორ უკავშირდებიან ერთმანეთს მაგარი ნაკერით.

მაგრამ არ ჩანს არც ვოლტის რკალის ნაპერწკლების ფრქვევა ელექტროშედუღების დროს რომ ხდება, არც ალის ხმაური ისმის,—რაც ავტოგენურ შედუღებას ახლავს. აბსოლუტური სიწყნარეა. ბევრიც რომ ეძებოთ, ვერც შემდუღებელ აგრეგატს დაინახავთ.

მაშ როგორ ხდება ლითონის შედუღება?

ლითონის შედუღება მზის საშუალებით წარმოებს.

უჩვეულო ფორმა აქვს ჰელიოშემდუღებელ აპარატს. გარეგნობით ის გვაგონებს დიდი დიამეტრის პროჟექტორის სარკეს, ეს სარკე ავტომატურად ბრუნავს და ყოველთვის მზისკენაა მიმართული. არეკლილი სხივების ფოკუსში წარმოიშობა ტემპერატურა, რომელიც 3000° აღწევს.

საცდელი ჰელიოშემდუღებელი აპარატი დადგმულია ტაშკენტში. ამ აპარატის საშუალებით, გარდა ლითონის შედუღებისა, შეიძლება აგრეთვე ლითონის გაჭრა, საჭრისზე მაგარი შენადნობის ფირფიტების დარჩილვა.

სულ მალე ასეთი ჰელიოშემდუღებელი აპარატები დაიდგმება თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობის ტრასზე და ჩვენი ქვეყნის სამხრეთ რაიონებში.

დიადი მშენებლობანი ხელს უწყობენ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას. ისინი თავის მოთხოვნებს უყენებენ ჰელიოტექნიკოსებსაც. მიმდინარე წლის გაზაფხულზე ტახია-ტაშში აგებულ იქნა მზის შხაპი მშენებელთათვის. ტახია-ტაშში დადგმულია აგრეთვე მზის აპარატი ავადმყოფების სამკურნალოდ.

უახლოეს დროში სამხრეთის მშენებლობანი მიიღებენ მზის სამზარეულოს, სადუღებელს და სხვ.

ჰელიოტექნიკა უკვე შედის წარმოებასა და ყოფა-ცხოვრებაში.

## ჩაიოტი

სოჭაში მებაღეები 1947 წელს მექსიკური კიტრის—ჩაიოტის გამოყვანას შეუდგნენ.

ჩაიოტის ნაყოფის წონა 500—700 გრ. აღწევს და ვიტამინ «C»-ს შეიცავს. ეს ვიტამინი კიტრის 100 გრ. რბილ ნაწილში 8 მილიგრამი მოიპოვება, ქერქში—10 მილიგრამი. გარდა ამისა, ჩაიოტი 9% ნახშირწყალს შეიცავს.

მექსიკური კიტრი მთელი თვეობით ისე ინახება, თითქოს ახალი მოწყვეტილიაო. კიტრის ასე შესანახად საჭირო არაა რაიმე განსაკუთრებული ზომების მიღება.

ჩაიოტი—შესანიშნავი მხვიარა და თაფლოვანი მცენარეა, მისი ღეროები 10 მ. სიგრძეს აღწევენ, მიწაზე ეფინებიან, ხეებს ევლებიან გარშემო, აგრეთვე სპეციალურად გაჭიმულ თოკს, ლარტყას და სხვ. ეხვევიან. ეს საშუალებას იძლევა მიწის მომცრო ნაკვეთზე დიდძალი ჩაიოტი მოვიყვანოთ, რადგან მისი ერთი ღერო ასზე მეტ ნაყოფს ისხამს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტ ე ქ ნ ი კ ა

## მანათობელი საღებავები

თუთიის და კალიუმის სულფიდები ულტრაიისფერი სხივების მოქმედებით გამოსხივებას იწყებენ.

თუ ამ სულფიდთა ფხვნილს შევურევთ ჩვეულებრივ საღებავებში — აკვარელში, გუაშში და სხვა — მივიღებთ სრულიად ახალ, მანათობელ საღებავებს. სინათლის ყოველ წყაროს ერთი საერთო თვისება აქვს — სინათლე გამოდის ერთი, ან რამდენიმე ცენტრიდან ყოველი მიმართულებით და ანათებს კედლებს, ჭერს, ნივთებს. მაგრამ შეიძლება თვით შენობას დავაწყებინოთ ნათება თუ მის კედლებზე და ჭერზე წავუსვამთ მანათობელ საღებავებს. ამასთან ერთად, ასეთი საღებავებით შეიძლება ყოველგვარი ნახატისა და დეკორატიული ჩანაფიქრის შესრულება: „ხალიჩების მოქარგვა“ ოთახის გასალამაზებლად, ავეჯისა და სხვადასხვა ნივთების შეღებვა. ბოლოს და ბოლოს ადამიანებსაც შეუძლიათ ატარონ მანათობელი მაუდისაგან შეკერილი ტანისამოსი.

მანათობელი საღებავები გამოყენებულია თეატრალურ დეკორაციებში სხვადასხვა ეფექტის მისაღწევად, აგრეთვე — არქიტექტურული პროექტის შედგენის დროს; ჩვეულებრივი პროექტი სრულ წარმოდგენას ვერ იძლევა იმის შესახებ, თუ როგორი განათება ექნება სახლის თითოეულ ოთახს აშენების შემდეგ. მაგრამ თუ არქიტექტორი პროექტის მოდელს მანათობელი საღებავებით შეამკობს, მაშინ უკვე წინდაწინ შეიძლება შემოწმდეს ის შედეგი, რაც ექნება მომავალში განხორციელებულ პროექტს.

სურათზე თქვენ ხედავთ დეკორატიულ განათებას კედელზე მანათობელი საღებავების წასმის შემდეგ.





## მართვა რადიოს საშუალებით

ბევრმა იცის, როგორ მუშაობს ჩვეულებრივი რადიომიმღები. რადიოტალღები, რომლებსაც ეთერში გზავნის გადამცემი სადგური, მიმღების ანტენაში ალაგზნებს მაღალი სიხშირის სუსტ ელექტროდენს. ეს დენი ძლიერდება რადიონათურების საშუალებით და შემდეგ მიედინება რუპორში. თუ მუსიკისა და ლაპარაკის მაგივრად რადიოსადგური გადმოსცემს სატელეგრაფო ანბანს, მაშინ რადიომიმღები მთლიანად აღადგენს მათ. რუპორიდან მოისმის სხვადასხვა სიგრძის წყვეტილი ხმები.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ რუპორის მაგივრად რადიომიმღების სქემაში ჩავრთეთ მგრძნობიარე ელექტრომაგნიტური რელე. ყოველი სიგნალის (იმპულსის) დროს რელე მიიზიდავს ღუზას. ელექტროიმპულსების სხვადასხვა ხანგრძლივობისა, ამპლიტუდისა და სიხშირის დროს რელე ჩართავს სხვადასხვა შემასრულებელ ელექტრო წრედს.

პირველი რადიოგემი ასრულებდა ცხრა ბრძანებას: „სვლა წინ“, „სვლა უკან“, „ჩქარა“, „ნელა“, „მობრუნდი მარცხნივ“, „მობრუნდი მარჯვნივ“, „შეჩერდი“, „აამუშავე საყვირი“, „აანთე სასიგნალო შუქი“.

უფრო გვიან შექმნილი იქნა სხვა გემი, რომელიც რადიოთი გადაცემულ 30 სხვადასხვა ბრძანებას ასრულებდა.

1930 წლიდან რადიომართვის ტექნიკა იმდენად განვითარდა, რომ შესაძლებელი შეიქნა თვითმფრინავების მართვა 100 კმ-ის მანძილზე. რადიოსიგნალის „ბრძანებით“ მთელი ესკადრილია აფრინდება ჰაერში, შეასრულებს თავის მარშრუტს და ისევ აეროდრომზე ბრუნდება. თვითმფრინავების მართვა შესაძლებელია ღამით ნისლიანობისა და მოღრუბლულობის დროსაც.

რადიომართვის ტექნიკას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი აღმშენებლობის საქმეში.

სურათზე თქვენ ხედავთ გემის მოდელს, რომელსაც რადიოთი მართავენ პიონერები.

## კერამიკული საჭრისი

1952 წელი მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქვეყნის ჩქაროსანი სტახანოველებისათვის. ამ წელს საბჭოთა მეცნიერმუშაკებისაგან მათ მიიღეს ახალი შესანიშნავი ინსტრუმენტი. ეს არის კერამიკული საჭრისი, რომელსაც ყოველმხრივი უპირატესობა აქვს ლითონის შენადნობის საჭრისებთან შედარებით. ამას გარდა კერამიკული საჭრისი დაახლოებით 170-ჯერ უფრო იაფია, ვიდრე მყარი შენადნობის საჭრისი.

ახალმა კერამიკულმა საჭრისებმა დიდი გამოყენება ჰპოვეს მრეწველობაში. მრავალი ჩქაროსანი მუშა სარგებლობს მისი შესანიშნავი თვისებებით. მაგალითად, კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის დელეგატმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა, მოსკოველმა ხარატმა პავლე ბიკოვმა, გამოიყენა რა კერამიკული საჭრისები, თუჯის ნაკეთობათა ჭრის სიჩქარე 250 მეტრიდან, წუთში, 3300 მეტრამდე გაზარდა. ამით მან დაამყარა მსოფლიო რეკორდი. ამჟამად პავლე ბიკოვი უკვე მუშაობს 1991 წლის ანგარიშში.

## მოლაპარაკე წერილი

რამდენ სიხარულს განიჭებთ ახლობელი ადამიანის წერილი. საჩქაროდ ხევთ კონვერტს და ხარბად კითხულობთ თითოეულ სიტყვას, თითოეულ სტრიქონს. ამთავრებთ კითხვას და გრძნობთ, თუ რა ბევრი რამ განგაცდევინათ თქვენ ამ პატარა ფურცელმა.

მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ უეცრად წერილი ალაპარაკდა! თქვენ გესმით ნაცნობი ხმა, მღელვარებით იჭერთ თითოეულ ინტონაციას და ცდილობთ გაიგოთ არა მარტო ის, თუ რას გეუბნებიან, არამედ ისიც, თუ როგორ გეუბნებიან, როგორი გრძნობითა და განწყობილებით. ასეთი წერილი თქვენ უფრო მეტს გაგრძნობინებთ და უნებურად დაივიწყებთ იმ მანძილს, რომელიც გაშორებთ წერილის ავტორისაგან.

მოლაპარაკე წერილი ფანტაზია არ არის; ხმის ჩაწერის ტექნიკამ უკვე დიდი ხანია აითვისა მისი დამზადება.

აი, შედიხართ პატარა ატელიეში და წერთ წერილს. შემდეგ მიდიხართ მიკროფონთან და ხმამაღლა კითხულობთ თქვენს ნაწერს. შუშის კედლის იქით, მეორე ოთახში დგას აპარატები. აქ მოდის მიკროფონიდან გამოსული ელექტროდენი. კედლის იქით მოჩანს, როგორ არეგულირებს ხმის ოპერატორი ჩამწერ აპარატს და რადიოგამაძლიერებელს. სტუდიაში გაისმის მეგობრული წერილის სიტყვები, აპარატები კი იწერენ.

ჩაწერა დამთავრებულია. თქვენ გიწვევენ მეზობელ ოთახში და გაჩვენებენ თხელ ცელულოიდის ფირფიტაზე ჩაწერილ წერილს. შემოწმებისათვის მას იქვე უკრავენ ჩვეულებრივ პატეფონზე. რამდენიმე წუთის შემდეგ კი კონვერტში მოთავსებული მოლაპარაკე წერილი უკვე შორეულ მოგზაურობაშია.

დროთა განმავლობაში ასეთი წერილები აღარ ჩაითვლება იშვიათ მოვლენად. ყოველ ქალაქში დაარსდება ხმის ჩაწერის ატელიე და ჩვენ ფოსტის საშუალებით მივიღებთ ფირფიტებზე ჩაწერილ ახლობელ ადამიანთა წერილებს.






## შ ი ნ ა ა რ ს ი

გვ.
კ. მესხი—ბატალიონი განაგრძობს გზას (მოთხრობა) . . . . . . . . . 2
დ. ბაქრაძე—პარტიზანის ჩანაწერები . . . . . . . . . 4
მ. მაჭავარიანი—ვისაც უყვარს (ლექსი) . . . . . . . . . 5
ა. ონელი—ჩვენი მთავრობის სასახლე (ლექსი) . . . . . . . . 6
კ. გოგიაშვილი—25 თებერვალი (ლექსი) . . . . . . . . . 6
თ. ჯანგულაშვილი—დღეს ხმა მისცეს (ლექსი) . . . . . . . . 6
გ. შატბერაშვილი—თადარიგო (მოთხრობა) . . . . . . . . . 7
ა. პუშკინი—პოლტავის ბრძოლა (ნაწყვეტი პოემიდან „პოლტავა“, თარგმნა კ ჭიჭინაძემ) . . . . . . . . . 13
ს. ჩიქოვანი—გორის სახლი პორონინოში (ლექსი) . . . . . . . . 14
წერილი კომუნიზმის დიადი მშენებლობიდან (თბილისელ და კახოვკელ პიონერთა მიმოწერა) . . . . . . . . . 15
გრ. ზარდალიშვილი—საქართველო ახალ ხუთწლედში (წერილი) . . . . 18
ი. ვალენტინოვი—მვანა ვამუკე (მოთხრობა, თარგმნა მანანა ქავთარაძემ) . 22
გ. ეპიტაშვილი—ტექნიკური წრეები და მათი დაარსების ორგანიზაცია სკოლაში . . . . . . . . . 27
ნ. კილასონია—ბალადა პიონერზე . . . . . . . . . 28
ზ. ჭუმბურიძე—იულიუს ფუჩიკის რჩეული ნაწერები ქართულად (წერილი) 29
ნ. ჩხეიძე —შანდორ პეტეფის „იანოშ რაინდი“ (წერილი) . . . . . . . 29
მოკლედ ყველაფერზე . . . . . . . . . 30
ტექნიკა . . . . . . . . . 31
მუსიკა—„პიონერული“—თამარ შავერზაშვილისა . . . . . . გარეკ. . . . გვ. 3

გარეკანის პირველ გვერდზე: „საზეიმო სამზადისი“—ნახატი რ. ცუცქირიძისა; მეორე გვერდზე: საქართველოს სსრ მთავრობის სასახლე—ნახ. ალ. ბანძელაძისა; მეოთხე გვერდზე: რუსთაველის ძეგლის ფერადი ფოტორეპროდუქცია გ. რაზმაძისა.

ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: რ. ცუცქირიძის, გ. გულისაშვილის, ზ. ლეჟავას, დ. ხახუტაშვილის და ალ. ბანძელაძის მიერ.

რედაქტორი რევაზ მარგიანი. სარედაქციო კოლეგია: რ. ელანიძე, გ. ვარდოსანიძე, რ. თაბუკაშვილი, ბ. შელია, ვ. ჭელიძე, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), ე. ქარელიშვილი, გ. შატბერაშვილი.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

„ПИОНЕРИ“ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМГрузии Февраль № 2 1953, Тбилиси, Ленина 14. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 1 სართული. ტელ. 3—81—85. საბლიტგამი.

უე 00405 ტირაჟი 15.000 გამომც. შეკვ. № 66 სტამბის შეკვ. № 164. ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის 14, გარეკანი დაბეჭდილია „ზარია ვოსტოკას“ ოვსეტ-მანქანაზე, რუსთაველის 42.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# პ ი ო ნ ე რ უ ლ ი

მუსიკა თამარ შავერზაშვილისა



1262

367



ფასი ვ მან.